645
1987



# საქართველოს ქალი

2
1987



ძაფის მესაიდუმლე. დ. იაკობაშვილის ფოტო.

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

645
1987

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



# 1921 — 1987

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული
და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა.

მხატვარი ჯემალ ლოლუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## იხარე, ჭერო!



დ. იაკობაშვილის ფოტო

თუ რამ კარგი და გასახარი გაკეთდა გლდანულაში — ეს მშენებლების დამსახურებაა.

ის, რომ გლდანულა თავისი კომპლექსური განაშენიანებით, ახალი ტიპის ეზოებით, სიმყუდროვითა და კეთილმოწყობით გამორჩეულ თბილისურ დასახლებად იქცა, არქიტექტორების მონდომებისა და ნიჭის შედეგია.

პროექტი დამუშავდა ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის" პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში, მისი ავტორი და მთავარი არქიტექტორია თ. ბოჭორიშვილი, თანაავტორი — ს. რუდნევა, განაშენიანების საზოგადოებრივი ცენტრის დაპროექტებაზე კი მუშაობდნენ ბ. ცისკარიძე და მ. მგალობლიშვილი, კონსტრუქტორია გ. მელაძე.

კარგ ჩანაფიქრს კარგი ხორცშესხმა უხდება!

# გლდანულა

გლდანის დასახლებას გასცდებით თუ არა, თიანეთის გზატკეცილიდან მარცხენა მხარეს ადვილად შეამჩნევთ გვერდიგვერდ ჩამწკრივებულ ახალ შენობებს. სახლები ქვევით, დაბლობზე დგას და გზიდან მარტო თავებიღა მოუჩანს.

ვინც აქ ორიოდე წლის წინათაც ყოფილა, ეცოდინება, რომ მაშინ არც ეს მაღალი ნაგებობები მდგარა და არც მშენებლობის დაწყებისა ეტყობოდა აქაურობას რაიმე. კაცს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს ყველაფერი უცებ, თვალისდახამხამებაში მოხდა. თუმცა, თუ სიმართლეს ვიტყვით, მშენებლობა მართლაც უცებ დაიწყო და წელიწადნახევარში ახალი საცხოვრებელი სახლები წამოიჭიმა.

თუ ამ სიახლემ დაგაინტერესოთ, გადაუხვიეთ ცენტრალური მაგისტრალიდან მარცხნივ და ჩაჰყევით ფართო, მოასფალტებულ გზას ქვევით. ერთი-ორი მოსახვევი და, — თქვენს წინ პატარა, მაგრამ მშვენიერი თბილისური დასახლება გადაიშლება. ზოგი მას გლდანისხევს ეძახის, ზოგიც გლდანულას. ახალი საცხოვრებელი მასივი მდინარე გლდანულას პირზეა გაშენებული, იქაურობა კი მართლა ხევ-ხუვი ადგილებია, ამიტომ ერთი სახელიც სწორია და მეორეც. მგონი, გლდანულა უფრო ლამაზია სათქმელად და ამის მერეც ჩვენც ყველგან ასე მოვიხსენიოთ.

მდინარე გლდანულა პატარაა, ძალიან პატარა. გვალვების დროს ისე დაილევა და გაქრება, რომ მისი კალაპოტი ხახაგამშრალ არხს ემსგავსება. გაზაფხულობით კი მოდიდება იცის და ეს ერთიბეწო მდინარე ბევრ საზრუნავს უჩენს ახლო-მახლო მცხოვრებლებს.

ამიტომაც მშენებლებმა წინასწარ იზრუნეს და გლდანულა ისეთ ჯებირებში ჩასვეს, რომ ახალი დასახლებისათვის არცერთ დროს საშიში არ იყოს.

საცხოვრებელი მასივი თავის მოსახელე მდინარესავით პატარაა, სულ ათი ათასი მცხოვრებისათვის არის გათვალისწინებული. ეს დასახლება, გარდა იმისა რომ ახალია, ახლებურიც არის, სრულიად განსხვავებული სხვა თბილისური უბნებისაგან. რით? ამაზე კი მართლა ღირს დაწვრილებით საუბარი:

გლდანულა პირობითად ექვს ეზოდ არის დაყოფილი. დასახლების შუაგულში დიდი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ცენტრია. ყოველი ეზო ძალიან ჰგავს ერთმანეთს. არქიტექტორები შეეცადნენ მიენიჭებინათ მისთვის ძველებური თბილისური ეზოების მყუდროება, უშუალობა, გულღიობა.

ეზო ოთხივე მხრიდან გარშემორტყმულია სახლებით. შენობები ერთმანეთზე მიჯრით არის მიწყობილი და ეს ჩაკეტილი ჯაჭვი მხოლოდ ორგან წყდება. შუაგულში მოზრდილი ადგილი ამფითეატრს უჭირავს. ეს საბავშვო მოედანია, რომელსაც პატარა ესტრადაც აქვს, მაყურებელთა „დარბაზიც", ლამაზად მოპირკეთებული სათამაშო ადგილიც. აქვეა სხვადასხვა გასართობები, ბავშვთა სათამაშო ნაგებობები.

ეზოში დიდი ადგილი უჭირავს გამწვანებას: დეკორატიულ, დასასვენებელ კუთხეებს. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, აქაურ მობინადრეებს, გარეთ გამოშლილ ხალხს მანქანების ნაკადი არ შეაწუხებს, არანაირი ტრანსპორტი ეზოში არ შემოვა. საკუთარი მანქანების გასაჩერებლად ყოველი კორპუსის წინ (ქუჩის მხრიდან) მოწყობილია მცირე სადგომები. ნაგვის შემკრები კამერების დაცლაც გარედან არის გათვალისწინებული. ამის გარდა, დასახლებას აქვს მოზრდილი სადღეღამისო ავტოსადგომი. ამგვარი „შეუვალობა“ ეზოს სიმყუდროვეს, სიმშვიდეს ანიჭებს და მას მარტო მოსახლეობის საკუთრებად აქცევს. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს მობინადრეთა კეთილმეზობლობას, ურთიერთკავშირს, რაც ყოველთვის იყო ძველ თბილისურ უბნებში და რაც ნელ-ნელა დაიკარგა ახალ დასახლებებში.

გლდანულაში მეორე ტიპის ეზოცაა, რომელიც მცირედით განსხვავდება ზემოთაღწერილისაგან. მას დამატებით აქვს მარტივი ტიპის სასპორტო მოედნებიც. თუმცა მთელი დასახლებისათვის სრულყოფილი სასპორტო კომპლექსი ცალკე არის მოწყობილი.

ზემოთ ვთქვით, რომ გლდანულა დიდი მასივი არ არის და ამიტომ მის ნორჩ მობინადრეებს ჯერჯერობით ორი საბავშვო ბაღი და ერთი საშუალო სკოლა ეყოფათ.

ახალი დასახლება კომპლექსურად, ერთდროულად შენდებოდა და თითქმის ყველა ნაგებობაც ერთდროულად დამთავრდა. ამიტომაც იყო, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შესახლებაც ერთბაშად მოხდა.

რა უნდა ენატრა კაცს საახალწლოდ იმაზე ძვირფასი საჩუქარი, ვიდრე ახალი, კეთილმოწყობილი ბინა? ალბათ, არაფერი. და ამ დღესასწაულზე ორიათასმა ოჯახმა ერთად იზეიმა ახალსახლობა. ადვილი წარმოსადგენია, რამოდენა სიხარული, ბედნიერება, სითბო აავსებდა გლდანულას ახალ დასახლებას ამ ცივ დღეებში.

ათიათასმა თბილისელმა მართლაც რომ ძვირფასი საჩუქარი მიიღო: დახვდათ კეთილმოწყობილი ბინები, ეზოები...

ახალი წლიდან კიდევ ერთმა თბილისურმა დასახლებამ დაიწყო სიცოცხლე.

მანანა ჯორბენაძე

### კიდევ ერთი ორდენოსანი



# შრომა დაუფასდა

ხულოს მთიანეთში ყველაფერი თვალს იზიდავს. მთა მთას ეკვრის, იმ მთის იქეთ ხეობა იწყება. ხეობის კალთებზე ჩიტის ბუდეებივით ჩარიგებულან ოდა-სახლები. კლდეებს შორის ზოგჯერ გზა ისე შევიწროვდება, მხოლოდ ცის ნაჭერი მოჩანს. ზოგან ისეთ ღრმა უფსკრულს წაადგებით, ჩახედვა შეგაბარბაცებთ. ასეთ ადგილებში ცხოვრობენ და შრომობენ ადამიანები.

ხულოს რაიონში არის სოფელი ჩაო. აჭარის მთიანეთში ჩრდილიან ადგილს ჩაოს ეძახიან. ამ სოფელშია გამოთხოვილი ოთხი შვილის დედა, პარტიის ხულოს რაიკომის ბიუროს წევრი, ცნობილი მეთამბაქოე ნათელა ლაბაძე. ნათელას დაუფასდა შრომა. უანგარო, თავდადებული მუშაობისათვის ახლახან შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

ბევრი საქებარი სიტყვა გამეგონა ამ ქალზე, მაგრამ პირადად არ ვიცნობდი. გადავწყვიტეთ სახლში ვწვეოდით და მიგველოცა მაღალი ჯილდო.

კაფანდარა ქალი შემოგვხვდა, მოღიმარი სახითა და მუქჩამდგარი თვალებით. ხმელ თამბაქოს პრესავდა. უხერხულად შეიშმუშნა, კაბა და ხელები თამბაქოს წებოვანი შავი ლაქებით ჰქონდა დასვრილი. სწორედ ეს უხდებოდა და შვენოდა. ამ ხელებს მოჰყავს დოვლათი. შარშან კოლმეურნეობა „ოქტომბრისათვის“ გეგმით 350 კილოგრამი ხმელი თამბაქო უნდა ჩაებარებინა, ნათელამ 700 კილოგრამი ჩააბარა.

ნათელა 35 წლისაა. იმედად ორი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს, კარგი, ფიცრული სახლი და ხეხილიანი ეზო აქვს. ეზოს იქეთ ნაძვნარის ტყეა, იმის იქეთ რუხი ქვის მთა. ხეობის მიღმა მუხნარის ტყე მოჩანს. დიდებული სურათი იშლება.

— აბა ვის სცალია მაგ სილამაზისთვის, ათასი საქმეა, — ნათელამ თავისი საზრუნავ-საფიქრალი თქვა. ადამიანის დამსახურება სამშობლოს საკეთილდღეო საქმეებით იზომება, დღენიადაგ სოფლისათვის, საერთო საქმისათვის უნდა იწოდე და იფერფლებოდე. ეს სხვაზე მეტად იცის ნათელამ და გარჯითაც ამტკიცებს.

მეორე დღეს რაიკომში შევხვდი, საქაღალდე ეჭირა ხელთ. პარტიის რაიკომთან არსებულ ერთ-ერთ ჯგუფს ვხელმძღვანელობ, მომავალ ბიუროზე ჩემს ანგარიშს ისმენენო, — მითხრა.

სანამ ცოცხალი ვართ, უნდა ვიშრომოთ და ვილვაწოთ, რომ ხალხსა და ქვეყანას შემწედ ვედგათ. ასეთია ნათელასა და მისთანათა მორალი. ამ მორალით ვართ მტკიცენი და უძლეველნი.

მ. გორგილაძე



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინც შარშან გვასახელა



## მაია თომაძე

ახალგაზრდა ნიჭიერმა მომღერალმა მაია თომაძემ ფართო დიაპაზონისა და ლამაზი ტემბრის ხმით მოხიბლა მაყურებელი ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“. მისი ეთერი ვოკალურ საშემსრულებლო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია.

ოციოდე წლის წინათ ბარსელონას (ესპანეთი) საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია ზურაბ სოტკილავამ და ელენე ობრაზცოვამ დაიმსახურეს. მას შემდეგ ეს ჯილდო არცერთ საბჭოთა მომღერალს არ მიუღია.

1986 წელს ბარსელონაში გამართულ მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან კონკურსში მაია თომაძე ძალზე რთული პროგრამით წარსდგა და გაიმარჯვა: „გრანპრი“ მოიპოვა და ოქროს მედალი დაიმსახურა.

## ნათელა ვიბლიანი

მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მაუდის ნართის წარმოების მრთველს ნათელა ვიბლიანს შარშანდელი წლის სიხარული ჯერაც არ განელებია. ეს სიხარული ლენინის ორდენით დაჯილდოებამ მოჰგვარა. არადა, წინა წლებიც ღირსსახსოვარი იყო მისთვის, რადგანაც შრომის წითელი დროშის ორდენი და კომკავშირის პრემიის ლაურეატობა სწორედ შრომაში გამორჩევისათვის, სამუშაო დროის გასწრებისათვის და თავისი პროფესიის სიყვარულისათვის ერგო წილად.

ამჟამადაც პარტიის წევრი ნათელა ვიბლიანი მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს და კვლავ მომავალი თვეების ანგარიშში მუშაობს.





## ლანა ღოღობერიძე

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლანა ღოღობერიძე შარშან ერთხმად აირჩიეს მანჰაიმის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ტრადიციულ საერთაშორისო კინოფესტივალზე ჟიურის თავმჯდომარედ.

ჟიურიში შედიოდნენ ამერიკელი, კანადელი, ფრანგი და სხვა ქვეყნების ცნობილი კინორეჟისორები.

ახლახან ეკრანებზე გამოვიდა რეჟისორის ახალი ნამუშევარი „ორომტრიალი“. ფილმის ლაიტმოტივია ადამიანი, რომელსაც სჭირდება თანადგომა.



ეროვნული ბიბლიოთეკა






ცაკვა ხონელიას ულოცავენ იუბილეს

# ღირსეული ხელმძღვანელი

— ქალბატონო ცაკვა, ასე ფანატიკურად რომ გიყვართ თქვენი მოდების სახლი, ბავშვობიდანვე ამაზე ხომ არ ოცნებობდით?

მიღიმის ცაკვა და მიამბობს:

— რაღაც უცნაური ბედი დაჰყვა ჩემს ბიოგრაფიას: პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნესტორ ლაკობამ პატარა გოგონა ოჩამჩირიდან სოხუმში წამიყვანა და აფხაზ ბავშვთა ინტერნატში მომაწყო. იქ პიონერის პირველი ყელსახვევი მე მხვდა წილად. პირველი კომკავშირელიც მე გავხდი, შემდეგ, როცა უმაღლესი ცოდნის მისაღებად მოსკოვში წავედი, იქაც გაგრძელდა ჩემი ბიოგრაფიის განსხვავებული ხვედრი.

რესპუბლიკებიდან სასწავლებლად ჩასულ სტუდენტებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ხშირად ხვდებოდნენ ხოლმე. როცა სერგო ორჯონიკიძესთან იყო შეხვედრა და მე, ლენინის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი სიტყვით გამოვედი, სერგო ორჯონიკიძე წამოდგა, მომიახლოვდა, მამაშვილურად გადამკოცნა და მითხრა:

— შენ პირველი ქალი ხარ, აფხაზეთიდან ასე შორს რომ ჩამოსულხარ. აი, ჩემი მისამართი, თუ რამე დაგჭირდეს, ჩემთან მოდი!.. ჰოდა, ხშირი სტუმარი გახლდით ორჯონიკიძის ოჯახისა. სერგო ორჯონიკიძე რომ გარდაიცვალა, გულით დავიტირე, ისე როგორც ტირიან ხოლმე კავკასიელი ქალები თავიანთ ახლობელს.

ცოტა ხნის შემდეგ ნადეჟდა კრუპსკაიას შევხვდით. „რაკი სამშობლოში დაბრუნებას აპირებთ, მითხრა ნ. კრუპსკაიამ იზრუნეთ სოფლებში კლუბების აშენება-გახსნისათვის. გახსოვდეთ, კულტურული დაწესებულებების (კლუბების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, თეატრების) გარეშე ახალი ადამიანის ჩამოყალიბება და მისი სულიერი გარდაქმნა გაძნელდება. ყველა საკითხზე შეგიძლიათ მომმართოთ. ყველაზე დიდი ყურადღება სწავლა-აღზრდის საკითხს მიაქციეთ, ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის და ქალთა ჯანმრთელობისთვის იზრუნეთ“! ნ. კრუპსკაიას დარიგება შემდგომში ჩემი ცხოვრების პროგრამად იქცა.

1942 წლიდან სოხუმის მასწავლებელთა სახლში დავიწყე მუშაობა, სადაც ჩამოვაყალიბე ცეკვის, სიმღერის და ხელსაქმის წრეები. საკუთარი ძალებით ვმართავდით ხოლმე კონცერტებს სოფლებში და სამხედრო ნაწილში. როგორც ყველასთვის, ჩემთვისაც მძიმე იყო ომის პერიოდი... გავიდა წლები. პარტიამ სოხუმის ინდკერვის გაერთიანების ხელმძღვანელობა დამავალა. თავდაპირველად ქალაქში გაფანტული წვრილ-წვრილი სახელოსნოების — ტანსაცმლის გადაკეთების, დაკემსვის და საქსოვი საამქროების ერთ შენობაში მოთავსება გადავწყვიტე, რასაც დიდი ბრძოლისა და შრომის შედეგად მივაღწიე. თქვენ ახლა ამ შენობაში ბრძანდებით, თუ როგორ მუშაობს სოხუმის მოდების სახლი თავად განსაჯეთ.

სოხუმის მოდების სახლის ხუთასკაციან არმიას მართლაც დიდებულად უძღვება ქალბატონი ცაკვა — ძველი თაობის ეს ნირშეუცვლელი კომუნისტი ქალი, რომელიც თავის პირადულზე მაღლა თანამშრომელთა ინტერესებს აყენებს. ხუთასკაციანი არმიაც მხარში უდგას ღირსეულ ხელმძღვანელს და შრომის სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით ემსახურებიან საერთო საქმეს.

მოდების სახლის მუშა-მოსამსახურეებს აქვთ კეთილმოწყობილი სასადილო, ქალთა საკონსულტაციო ოთახი და ჭრა-კერვის შემსწავლელი კურსები, სადაც ყოველ წელს ოთხმოცდახუთი ახალგაზრდა ეუფლება ხელსაქმეს. კურსდამთავრებულთაგან საუკეთესოებს მოდების სახლში ტოვებენ სამუშაოდ, რომლებიც შემდგომ პასუხისმგებლობის გრძნობით ქმნიან პროდუქციას. ალბათ ამიტომაა, რომ მათი შეკერილი ტანსაცმელი მოწონებას და პირველი ხარისხის დიპლომს იმსახურებს ხოლმე. შარშან ინდკერვის გაერთიანებამ სახელმწიფოს ზეგეგმით 40 000 მანეთი მისცა, რისთვისაც ცაკვა შაკირის ასული ხონელია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით. ასეთივე ჯილდო მიიღო გამომჭრელმა ვ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიგოვამ. შრომის დიდების III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა გ. პავლოვა.

— 1986 წლის გეგმა, მართალია, გადაჭარბებით შეასრულა ჩვენმა მოდების სახლმა, მაგრამ გასულ წელთან შედარებით ზეგეგმითი თანხა შედარებით მცირეა — გულდაწყვეტით მეუბნება ქალბატონი ცაკვა და მიზეზსაც ასახელებს: — დროულად ვერ ვღებულობთ საჭირო ქსოვილებს, ღილებს, ბამბას, საწვავს და ამიტომაცაა ზეგეგმითი თანხა მხოლოდ 23000 მანეთი.

სოხუმის მოდების სახლი სოჭის ინდდაკვეთის ფაბრიკასთან არის სოცშეჯიბრებაში ჩაბმული. თავისი ახალ-ახალი მოდებითა და გეგმის გადაჭარბებით გამარჯვებულნი მუდამ სოხუმელები არიან.

მოდების პირველი ჩვენება ცაკვას კოლექტივმა 1961 წელს მოაწყო. მას შემდეგ ტრადიციად იქცა მათი დემონსტრირება.

— ადამიანთა სულიერ განწყობაზე რომ არის დამოკიდებული პროდუქციის დამზადების ხარისხი, ამაში თქვენც დამეთანხმებით, — მეუბნება ქალბატონი ცაკვა. ჩემ თანამშრომელ ქალთა სულიერი სიმშვიდისათვის ბევრჯერ მიფიქრია. სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები დილიდან საღამომდე უმეთვალყურეოდ რომ არ ყოფილიყვნენ და მოზარდი ქუჩას ასცდენოდა, ასეთი გამოსავალი მოვნახე: გივი ბალახაშვილის ხელმძღვანელობით შევქმენით სიმღერისა და ცეკვის წრე, მოვაწყვეთ დარბაზიც. ჩვენს ანსამბლ „ამრაში" 80 ბავშვია გაერთიანებული, რომლებიც ყოველ ფესტივალზე სიგელებითა და მედლებით ჯილდოვდებიან.

— მიხარია ბედნიერ ბავშვებს რომ ვუყურებ, მე საკუთარი არა მყოლია, მაგრამ ძმისშვილები დავზარდე. ბევრი არანათესავისთვისაც დამიდვია ამაგი. არ გაგეცინოთ, თუმცა 72 წლისა ვარ, დღესაც დედამერცხლის როლს ვთამაშობ: შემოვიყვან სახლში, ვისაც ჩემი ზრუნვა სჭირდება. ვეფერები, ვასწავლი, მერე დაფრთიანდება და გაფრინდება. მე სიმარტოვე არ შემიძლია, კვლავ ახალი ბარტყი მომყავს და ასე... ყველაზე დიდ სიხარულს ამ ქვეყნად ადამიანებისათვის ზრუნვა მანიჭებს.

მართლაც ზღვასავით დიდი და მზესავით თბილი გული რომ აქვს პატივცემულ ცაკვას, ამას მისი ნათელი სახე ადასტურებს.

ელისო ბილანიშვილი

## პროდუქციის სახელმწიფო მიღება: ხარისხისათვის ზრუნვა

# მსოფლიო ბაზარზე გასატანად

„საქელექტრომანქანის" საწარმოო გაერთიანების მეთაურ ქარხანა „მიკროძრავაში" მომუშავეთა უმრავლესობა ქალები არიან. ისინი სხვადასხვა უბანზე გულმოდგინედ შრომობენ და თავიანთი წვლილი შეაქვთ საწარმოს წინსვლის საქმეში. აქ ყველა იცნობს სოფიკო ლოცულაშვილს, ანჟელიკა ახნაზაროვას, ლუბა სინიორკინას და სხვებს... ისინი ყოველთვიურ დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ და დროს უსწრებენ.



„მიკროძრავის" მოწინავეები
მერი ბორაშვილი და დოდო ტალიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომკავშირელი
კარინა გონიევა

დ. იაკობაშვილის ფოტოები

და აი, მათი საწარმოს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო, ქარხანა პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადავიდა. ძირითადად სამი სახეობის პროდუქციას ამზადებენ. ესენია: სარეცხი მანქანის ასინქრონული ძრავები, მეოთხე სერიის სამფაზიანი სამრეწველო ასინქრონული ძრავები და სამზარეულოს გამნიავებლები. სასიხარულოა, რომ აქ შექმნილი მეოთხე სერიის სამფაზიანი სამრეწველო ასინქრონული ძრავები მრავალ ქვეყანაში იგზავნება — საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფინეთში. საწარმოს რვაასამდე მომხმარებელი ჰყავს. განსაკუთრებით მოსწონთ აქაური ნაწარმი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებს.

პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ყველა უბანზე შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებას, თითოეული მომსახურე პერსონალის პასუხისმგებლობის გაძლიერებას, წუნისმკეთებელთა გამომზეურებას. მუშაობის ეს ახალი ფორმა უზრუნველყოფს ქარხნის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

„საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა თ. მოზაძემ ჩვენთან საუბარში თქვა, რომ პროდუქციის სახელმწიფო მიღების მიზანია გაუმჯობესდეს არა მარტო პროდუქციის, არამედ მუშაობის ხარისხიც. საამისოდ საწარმოში განხორციელდა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები. ადმინისტრაციამ, პარტიულმა ბიურომ, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა შარშან სათანადოდ იმსჯელეს ამ საკითხზე.

ქარხანა „მიკროძრავაში“ ამჟამად შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც მთავარი ინჟინრის ყოფილი მოადგილე, გამოცდილი სპეციალისტი ბორის ჟოლონჩი ჩაუდგა სათავეში. დამტკიცდა ახალი თანამდებობა, დაინიშნა დირექტორის მოადგილე ხარისხის დარგში, გაძლიერდა პროდუქციის მიმღებ კონტროლიორთა ჯგუფი. დღეისათვის მიღების სახელმწიფო ორგანოში ისეთი სპეციალისტები არიან გაერთიანებულნი, რომლებიც საიმედოდ, უტყუარად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. საწარმო მუშაობს დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციით, ატესტირებულია არა მარტო სამუშაო ადგილები და დანადგარები, არამედ ტექნოლოგიური პროცესებიც.

ქარხნის პარტბიურო პროდუქციის სახელმწიფო მიღებასთან დაკავშირებით ყველა განსახორციელებელ ღონისძიებას აკონტროლებს. სერიოზული ყურადღება ეთმობა ქარხნის ალჭურვილობას, მანქანა-დანადგარების შეკეთებას. მეცნიერებთან ურთიერთთანამშრომლობითა და დახმარებით მიმდინარეობს სპეციალური ახალი დანადგარების გამოცდა. მათი ამოქმედება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

რა თქმა უნდა, მუშაობის ახალ ეტაპზე წარმოიშვა სიძნელეები, პრობლემები, რომელთა დროულად გადაწყვეტა გაზრდის წარმოების ეფექტიანობას, გააუმჯობესებს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. საქმე ის გახლავთ, რომ ქარხანას არ ჰყოფნის საწარმოო ფართობი. მუშაობის ახალ პირობებში აუცილებელია მანქანა-დანადგარების ორსამცვლიან მუშაობაზე გადასვლა. სამცვლიან სამუშაოზე გადავიდნენ სატვიფრავი და საჩამომსხმელო საამქროები. სამ ცვლაში ხდება ფოლადის ღუმელებში გამოწვაც (საექსპორტო პროდუქციის მასალებისათვის). ორ ცვლაში მუშაობს მექანიკური საამქროს ყველა სახეხი და აგრეგატული დანადგარი, ამწყობი საამქრო. სარეცხი მანქანების ძრავების ასაწყობად თანდათან მაქსიმალურად იტვირთება საწარმოო სიმძლავრეები.

სიძნელეებს წარმოშობს საწარმოს მასალებითა და ნედლეულით არარიტმული მომარაგება. კვლავ არის შემთხვევები, როცა ძირითადი მასალების მაგიერ შემცვლელებს იღებენ. ასეთები გახლავთ დინამიკური ფოლადი, საგრაგნილე მავთული, საკისრები, რაც უარყოფითად მოქმედებს დასამზადებელი პროდუქციის ხარისხზე. პროდუქციის სახელმწიფო მიღების კომისია კი შემცვლელი ნედლეულით დამზადებულ ნაწარმს, რა თქმა უნდა, ვერ მოიწონებს. ეს კარგად იციან სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროში და საკითხები თანდათან დადებითად წყდება.

მუშაობის ახალ პირობებში მთავარი ძალა ის ადამიანებია, რომლებიც უშუალოდ ქმნიან პროდუქციას. მუშაობის ხარისხი, მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია საბოლოო შედეგებზე. ეს შედეგები კი დამოკიდებულია იმათზე, ვინც გამრჯედ შრომობს მანქანა-დანადგარებთან. უპირველესად ისინი ხედავენ პროდუქციის ყველა ნაკლს. ამიტომაც პროდუქციის მიღების მიმდინარეობა დიდად არის დამოკიდებული როგორც ხელმძღვანელის, ისე თითოეული მომუშავის შრომის ხარისხზე. მუშაობის ახალ პირობებში კი პასუხი ეთხოვება სწორედ იმას, ვინც უგულოდ შექმნა ესა თუ ის პროდუქცია, ეცადა წუნიანი ნაწარმი გაეპარებინა ქარხნიდან.

ბევრი რამ არის დამოკიდებული კვალიფიციურ სპეციალისტზე, საწარმოში კი აკლიათ ელექტრონული წარმოების მცოდნე ინჟინერ-გამწყობები. და ეს მაშინ, როცა უიმათოდ შორს ვერ წავალთ.

პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლა დიდად პასუხსაგები მომენტია საწარმოს ცხოვრებაში. ბევრი რამ არის დამოკიდებული როგორც მომწოდებელზე, ისე შემკვეთ ორგანიზაციებზე, მათს შეთანხმებულ, სტაბილურად მუშაობაზე.

საწარმოს ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ძალების მაქსიმალური დაძაბვით უნდა დააჩქარონ სახელმწიფო მიღებაზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიებების დროული განხორციელება, ყველაფერი იღონონ შეუფერხებელი მუშაობისათვის, ხელით შრომის წილის მაქსიმალური შემცირებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, საწარმოო სიმძლავრეების სრულად დატვირთვისათვის, რაციონალიზაციისა და გამოგონებების უთუო და დროული დანერგვისათვის, კადრების დენადობის შემცირებისათვის, რისთვისაც საჭიროა სოციალური საკითხების მოგვარებისათვის ზრუნვა. აუცილებელია საწარმოს მუშა-მოსამსახურეებისათვის სპორტული მოედნისა და კლუბის მოწყობა, სხვა ქმედითი-კულტურული ღონისძიებების განხორციელება.

თითოეულ სამუშაო უბანზე პასუხისმგებლობის გაზრდით, მომთხოვნელობით, ყოველგვარი ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვით კოლექტივი შესძლებს ხელშემშლელი დაბრკოლებების გადალახვას და მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამზადებას. პროდუქციის სახელმწიფო მიღება ხომ უპირველესად ნაწარმის საუკეთესო ხარისხისათვის ზრუნვაა.

ლალი ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალი დიდი ძალაა

ასევე დგას ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალთა უფრო ფართოდ დაწინაურების საკითხიც. ახლა პარტიულ და სახელმწიფო პოსტებზე, მეცნიერებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, განათლებაში, კულტურაში, მსუბუქ მრეწველობაში, ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ბევრი ქალი მუშაობს და კარგადაც მუშაობს. დღეს ქვეყანა საჭიროებს იმას, რომ ისინი უფრო აქტიურად იყვნენ ჩაბმული ეკონომიკისა და კულტურის მართვაში საკავშირო თუ რესპუბლიკური მასშტაბით. ასეთი შესაძლებლობები გვაქვს. ოღონდ საჭიროა ვენდოთ და მხარი დავუჭიროთ ქალებს.

**მ. ს. გორბაჩოვის**

მოხსენებიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1987 წლის 27 იანვარს.

საბჭოთა ქალის დღევანდელი მდგომარეობა სოციალიზმის დიდი მონაპოვარია. ამას ნათლად ადასტურებს თუნდაც ჩვენი რესპუბლიკის ქალების როლი სამეურნეო, სახელმწიფო. კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მშენებლობაში.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტთა შორის ქალთა რიცხვი 1960 წელთან შედარებით 1985 წელს სამჯერ გაიზარდა. დღეს უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტთა შორის 52,3 პროცენტი ქალია. რესპუბლიკაში 11.300-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი ქალია, მათ შორის 117 აკადემიკოსი, წევრ-კორესპონდენტი და პროფესორი, 200 დოქტორი და 3266 კანდიდატი. წლეულს სტუდენტთა შორის ქალები 53,1 პროცენტს, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში 52,3 პროცენტს შეადგენენ.

სულ უფრო იზრდება ქალთა რაოდენობა მართვის ორგანოებში. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შორის ქალები 50,8 პროცენტს, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის 36,4 პროცენტს შეადგენენ.

იზრდება კომუნისტ ქალთა რიცხვი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში. 1971 წლის 1 იანვრისათვის ისინი კომუნისტების 23,2 პროცენტს, ხოლო 1986 წლის 1 იანვრისათვის 29,4 პროცენტს შეადგენდნენ. 1981-1985 წლებში პარტიის რიგებში ახალმიღებულთა 40,3 პროცენტი ქალია.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული პარტიის მესამე პროგრამის ახალი რედაქცია ქალთა კეთილდღეობისათვის ბრძოლის პროგრამაა. დიდად განვითარებული მომსახურების სფეროს შექმნით უფრო სრულყოფილად დაკმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნები, შემსუბუქდება საოჯახო შრომა, გაუმჯობესდება საბინაო პირობები, გაძლიერდება ოჯახისათვის ზრუნვა, განმტკიცდება მისი როლი სოციალური ფუნქციების შესრულებაში, გაფართოვდება ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს წვრილშვილიანი და ახალგაზრდა ოჯახების მატერიალურ, საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ამაღლდება მშრომელთა პასუხისმგებლობა შვილების აღზრდისათვის.

გაიზრდება შვებულება მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ, გაფართოვდება საოჯახო სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების ქსელი, ქალთა სურვილის გათვალისწინებით უფრო ფართოდ გამოიყენება მცოცავი გრაფიკი, არასრული სამუშაო დღე, შინ დასაქმების ფორმები.

უახლოეს ხანში მთლიანად დაკმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება ბავშვთა დაწესებულებებზე. გაიზრდება კვების ხარჯის ნორმები სკოლამდელ დაწესებულებებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის კურსი ასეთია — სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ძირეულად გააუმჯობესებს ქალთა შრომის პირობებს, გაზრდის შრომის უკუგებას და ნაყოფიერებას. შემცირდება ხელით შრომა, აიკრძალება ღამის ცვლაში მუშაობა, რაც კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ქალთა საყოფაცხოვრებო პირობებზე.

ბაგა-ბაღების ქსელის გაფართოება, საყოფაცხოვრებო სამსახურების დანერგვა სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებში, სამრეცხაოების, საპარიკმახეროების, სამკერვალოების მუშაობის კულტურის ამაღლება, საზოგადოებრივი კვების მოწესრიგება — ყველაფერი ეს გაზრდის ქალის თავისუფალ დროს და შექმნის მისი სოციალური როლის შემდგომი გააქტიურებისათვის შესაფერის პირობებს.

ღონისძიებები მისასალმებელია, მაგრამ მათი განხორციელება მხოლოდ თითოეული შრომითი კოლექტივის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ხელმძღვანელის, თითოეული მამაკაცის თანადგომით შეიძლება. მართალია, საოჯახო შრომა საგრძნობლად გაიოლდა, მაგრამ იგი კვლავაც დიდ დროს და ენერგიას ართმევს ქალს. ამას ზედ ემატება ზოგიერთი ხელმძღვანელის უსულგულო დამოკიდებულება ქალისადმი. საქმე ისაა, რომ ზოგჯერ ისინი ჯეროვნად არ ზრუნავენ ქალთა უფლებების დაცვის, შრომის პირობების გაუმჯობესების, კანონიერი შეღავათების განხორციელებისათვის. თავის მხრივ, თვითონ ქალზეც ბევრია დამოკიდებული. უნდა გააქტიურდეს ქალთა საბჭოების საქმიანობა შრომით კოლექტივებში, საცხოვრებელ ადგილებზე. მათ უნდა დაიცვან ქალთა ინტერესები, ხელი შეუწყონ სოციალური საკითხების მოგვარებას. ისინი უნდა ზრუნავდნენ, რომ დეკრეტული შვებულების (წლინახევრის) განმავლობაში ქალი არ მოწყდეს კოლექტივს, არ დაკარგოს კვალიფიკაცია.

ქალი დიდზე დიდი ძალაა ოჯახში. დედის პასუხისმგებლობა ოჯახის წინაშე, მისი მზრუნველი ხელი, ტაქტი შვილების აღზრდაში კეთილგონივრულად განსჯის, მოთმინებისა და ნებისყოფის უნარი და, საერთოდ, მისი გავლენა და ავტორიტეტი ბევრად განსაზღვრავს ოჯახის იერსახეს, სიმტკიცესა და სიწმინდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ახალი სახელები

მარინე მამულაშვილი

# არჩევანი



მხატვარი ცინარა ტერელაძე

— ნატვრის ხეო, ნატვრის ხეო!... არ ვიცი, რომელი ერთი ამოვირჩიო ჩემი უთვალავი ნატვრიდან. აბა, რამდენი რამ მინდა! კაცმა რომ თქვას, მთელი ცხოვრება სულ რაღაცის ნატვრაში ვარ და ახლა რა ღმერთი მიწყრება? ასე ყოფილა! ღატაკსა და მათხოვარს თვალ-მარგალიტით გაჭედილი კიდობანი რომ დაუდგან წინ და უთხრან, ამოირჩიე ერთი რომელიმე, ფეშქეშო, დილითაც ისევ რჩევაში იქნება. მეც აქ ხომ არ დავაღამებ?.. რაც არის, არის — ვინატრებ, რომ იმას შევუყვარდე. რა ვქნა, ბატონო? შევყვარებოდი აქამდე, მაშინ სხვა რამეს ვინატრებდი. ისე, რომ არ შემიყვარა, ალბათ მთლად იმის ბრალიც არ არის. მეც რომ ცოტა უკეთესი ვყოფილიყავი, მაშინ... მაშ, ვინატრებ, რომ ლამაზი ვიყო, მქონდეს ლამაზი ცხვირი, დიდი ცისფერი თვალები (ეეჰ!), დაწყობილი სახის ნაკვთები, პროპორციული ტანი... მაგრამ სხვათა შორის, ბევრ ლამაზ გოგოს ვიცნობ, არავის რომ არ უყვარს. ესე იგი, კიდევ არის საჭირო რაღაც, განსაკუთრებული. დაახლოებით კი ვხვდები, რაც, მაგრამ აბა, ის როგორ ვინატრო? სად ჩამოვთვალო ყველა ის თვისება, რაც ადამიანს ალამაზებს? ვერც ჩამოვთვლი და ამდენს ვერც ვინატრებ. ეს ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. სხვა რამე უნდა მოვიფიქრო. ფული ხომ არ ვინატრო? არა, ჩემი ერთად-ერთი ნატვრა ფულზე როგორ დავხარჯო? ჯერ ერთი, ბევრი ფული მე არ მჭირდება. იმდენი კი, მე რომ მჭირდება, თვითონაც შემიძლია ვიშოვო. მე რომ ზარმაცი არ ვყოფილიყავი, დღეში, თუნდაც სამი საათი რომ მემუშავა, სტატიები რომ მეწერა და მექვეყნებინა — ერთი სიტყვით, სამსახურში რომ თავი გამომეჩინა, დამაწინაურებდნენ და ხელფასიც მომემატებოდა. დედაჩემი რომ დღედაღამ ჩამჩიჩინებს, დაჯექი, იმუშავეო, ზოგჯერ მაინც უნდა დავუჯერო ხოლმე. ჩემი სიზარმაცის გამო ნატვრის ხე შევაწუხო?! ესეც ხომ ჩემზეა დამოკიდებული. მაშ, რა ვინატრო? მოდი, ჯანმრთელობას ვინატრებ, არა? არა. ჯერ ერთი, ისედაც საკმაოდ ჯანმრთელი ვარ. მეორეც, ცოტა რომ ვივარჯიშო, დილაობით ვირბინო, სუფთა ჰაერზე ვისეირნო — მეტი კი არაფერი უნდა ჯანმრთელობას. ეს ყველაფერი მე თვითონაც შემიძლია. ძალიანაც კარგი! მაგრამ ნატვრის ხეს რაღა ვთხოვო?.. ნატვრის ხეო, ნატვრის ხეო!.. ერთი იმის ჩიტი გამხადა, რას ნატრობენ ხოლმე საერთოდ? აგერ, იმ გოგონამ რა ინატრა, უკვე ჭრელ ხელსახოცს რომ აბამს ხეს? ნეტა, რა ჩაუთქვა? ან სხვებმა რა ინატრეს ამდენი, ეს ხე რომ ათასფრად აუჭრელებიათ?!

ერთი ამბავი გამახსენდა. ამ ზამთარს ბაკურიანში ვაპირებდი წასვლას. მაგრამ საბოლოოდ სხვადასხვა მიზეზების გამო ველარ წავედი. მთელი დღე ოთახიდან ოთახში დავბორიალებდი და ჩემს მწარე ბედილბალზე ვფიქრობდი. აი, სულ ასეა, ბაკურიანში წასვლა კი არა, რასაც გადავწყვეტ, არაფერი არ მისრულდება. ამ მწარე ფიქრებში გართული ფანჯარას მივადექი. გადავიხედე და, ღმერთო, რა დავინახე! ზუსტად ჩვენი ფანჯრის წინ ეზოში ხე დგას. ყინვას მთლად გაეშიშვლებინა. მხოლოდ ერთ ტოტს, რაღაც სასწაულით, მწვანე ფოთლები შერჩენოდა. ბარდნიდა, ეზო თეთრად იყო გადაპენტილი. იმ ტოტს კი თოვლი არ ეკარებოდა. წარმოგიდგენიათ, რა ძალა უნდა ჰქონოდა იმ პატარა ფოთლებს?! ამას მოხერხება არ უნდა — იმ გაშიშვლებულ ხეზე, ყველას დასანახად — პატარა იმედივით... აი, ძალა! მე კი, ამხელა ქალი, ვდგავარ აქ და ვფიქრობ, რა ვინატრო.

გამეცინა. ჩემს თავზე გამეცინა და უცბად ძალიან გამეხარდა. მგონი მივხვდი...

ესეც ასე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაემანი

ავტობუსიდან რუსთაველის ძეგლი რომ გამოჩნდა, ფანჯარას მივაჭყლიტე ცხვირი და იქაურობა გულდასმით დავზვერე — ვერ დავინახე. ალბათ ჯერ არ მოსულა. ავტობუსიდან ჩამოვედი. იქვე, გაჩერებასთან ნაყინი ვიყიდე და აეროპორტის სალაროებთან რომ საათია, იქით გავემართე. ამასობაში შვიდიც შესრულდა. მე, როგორც ყოველთვის, ზუსტად მოვედი. საათთან გამოსაჩენ ადგილზე დავდექი. ბარემ შორიდან დამინახოს. იქნებ ბოლოს და ბოლოს შერცხვეს, მოსვლა რომ ისევ დავასწარი. ვერ გამიგია, მე რად უნდა ვასწრებდე მოსვლას? უკვე რვის ხუთი წუთია. ჰოდა, იმას ვამბობდი... რას ვამბობდი?... საათი თუ გაუჩერდა. კი მაგრამ, ხომ უნდა შენიშნოს, რომ საათი გაჩერებულა. არა, შეამჩნევდა, ერთი-ორჯერ მაინც თუ დახედა. და თუ არ დახედა? — ესე იგი, ჩემთან შეხვედრა არც უფიქრია. ყველაფერი გასაგებია. ჰმ! ნამდვილად იმან დაურეკა. და ახლა ალბათ ერთად დასეირნობენ. თუ ეგრეა, ერთ წუთსაც არ გავჩერდები. მეტი არაფერი მინდა, ოღონდ ეგენი დავინახო სადმე ერთად. მერე მიყუროს!.. რაღას მიბარებდა, მოსვლას თუ არ აპირებდა? მაშ, სად გდია ამდენ ხანს?! რვის ათი წუთია. თვალები ისევ მოვჭუტე, სახე სულ დამემანჭა და ვცადე, რაც შეიძლება შორს გამეხედა. მაინც ვერაფერი დავინახე. ესეც მე! რომ ჩამჩიჩინებენ, სათვალე ატარეო, ტყუილს კი არ მეუბნებიან. ჯერ ერთი, სახე სულ დამინაოჭდება. მეორეც — შორიდანვე ხომ დავინახავდი, მოდის თუ არა. იქნებ სულ ახლოსაა, მე კი ვერ ვხედავ და სულ ტყუილად ვნერვიულობ?.. იმდენი იმას რა ვუთხარი! არა, რაღაცაშია საქმე. ნამდვილად ავად გახდებოდა. წევს ახლა ალბათ და ორმოცი აქვს სიცხე. საწყალი! იქნებ იაპონური გრიპიც კი დაემართა. ახლა მაინც გრიპია მთელ ქალაქში მოდებული. ისე, ტელეფონით რომ ველაპარაკე, რაღაც არ ეტყობოდა ხმაზე, რომ ავად იყო. რა უბედურებაა, უკვე რვის თხუთმეტი წუთია. მეც ვდგავარ, რაღა, სულელივით და ვუცდი! აქამდეც უნდა წავსულიყავი, ჭკუა რომ მქონოდა. მაგრამ არა, პრინციპის საქმეა — ხომ უნდა გავიგო, მოვა თუ არა. როცა დავინახავ, მაშინვე წავალ. ხმასაც არ გავცემ. დიახ! უბრალოდ, მაინტერესებს, რამდენს დააგვიანებს. მაგრამ, ვაითუ, სულ არ მოდის? რამდენ ხანს ვიდგე აქ? წამოწვიმა კიდეც. სულ გავილუმპები. მაინც დავიცდი. აი, მობრძანდება და პირში მივახლი ყველაფერს, რასაც მასზე ვფიქრობ. იქნებ სჯობს, რომ სულაც არაფერი ვუთხრა, ზურგი შევაქციო და წავიდე? ასე აჯობებს, უფრო ეფექტური იქნება. მიხვდება, რომ საშინელება ჩაიდინა. არა, მაინც რაღას ვუცდი. რვის ოცი წუთია! წავალ. აღარც ვნახავ აღარასდროს. ძალიან დიდი წარმოდგენა ჰქონია საკუთარ თავზე. იქნებ იმასაც ფიქრობს, რომ ღირსია ასე საათობით ვიდგე ქუჩაში და ველოდო? სულ ჩემი ბრალია ყველაფერი. ახია ჩემზე! მე რადგან მიყვარს, თავი ულამაზესი ჰგონია. სარკეში ჩაიხედოს მაგ უტვინომ! წავედი. ტელეფონსაც აღარ მივეკარები. რეკოს რამდენიც უნდა. მეყოფა მაგ არარაობაზე, არაკაცზე ფიქრი!... გამოჩნდა, როგორც იქნა! აბა, ახლა ვუჩვენებ სეირს!.. ხო-ხო-ხო, როგორ გააყოლეს გოგოებმა თვალი! არა — ობიექტურად თუ შეხედავ, ძალიან სიმპათიურია. ამას თვითონაც გრძნობს. ერთი ის ქუდი ვერ მოვახდევინე, თორემ ისე... ვეტყვი, აღარ დაიხუროს. არ უხდება.

## ახალი სახელები



ნედეა მელაძე

# „ყაყაჩოების ჭვითჭვინი“

ყინავდა. ნათიამ ბეწვის ქურქი უფრო მჭიდროდ შეიკრა და ფეხს აუჩქარა... დროზე მივიდე, არ გამასწროს... ოთახი სიგარეტის ბოლში იყო გახვეული. ქალები მრგვალ მაგიდას შემოხვეოდნენ.

— ყავა?! — ყავაც იქნება!

— დალი, ნანამ „ფირმა“ კაბა შეიძინა, იცი რა არის? ჭკუიდან შეირყევი!

— რა მისცა?!

— რა მისცა და ფული — რამდენი? — ფასს ნუ იკითხავ, ოთხასი მანეთი.

— რა ენაღვლება, გენაცვალე, რასაც მაგის ქმარი შრომობს!..

— მართლა?! მაშინ, დავანებოთ თავი და ყავაზე ვიმკითხაოთ.

— მოდი, „იმას“ დავურეკოთ, რამდენი ხანია არ ჩაუხედავს.

— მოვა კი?! მოვა. რა ენაღვლება! მაგას, რომ დედამთილი ჰყავს, ბევრს დედა არ ეყოლება ისეთი. ქმარი, ქმარი ყველამ ინატროს ისეთი ბიჭია! ვერ უყურებ მაგ მახინჯს? ბედი უნდა ყველაფერს! ნეტა, როგორ ახერხებს?!

— ოო, როგორ და მაგი ისე მკითხაობს, ჯადოებიც ეცოდინება! ალბათ, მთელ ოჯახს არჩენს!!

— მერე და ჩვენც გვასწავლოს!

— გაგიჟდი, ქალო! ჩვენ რომ გვასწავლოს, ძალა დაეკარგება!

...ალოო, მაიკო, გენაცვალე, როგორა ხარ! როგორ მოგვანატრე თავი, ესაო-ისაო, ოჯახი ვის არ ყოლია, მაგრამ მეგობრები კი არ დაუვიწყია. შენი ჭირიმე, იქნება შემოგვირბინო, ძალიან მოგვენატრე!

მაიკოს ირონიით ჩაეღიმა და თვალწინ დაუდგა ქალები, რომლებსაც ყავის ჭიქები ეჭირათ ხელში:

— კარგი, ეხლავე მანდ გავჩნდები!!

....მკითხაობის დროს ჩურჩულიც კი არ შეიძლება! — ბრძანა მაიამ და დაიწყო:

— ოო, კიდევ ამოგდის „ის ავადმყოფი“, ვერ მოიშორე?

— ჯერ კიდევ უყვარს და რა ქნას?!

— ჰოო, თუ გიყვარს... შეხვედრა გაქვს, ამ წელს ცოლს სცილდება და შენ გირთავს!!!

— არ გადამრიო!

— ღმერთია მოწმე!

— გაიხარე, მაიკო, როგორც მე შენ გამახარე!

— შენ, ჩემო ირინა, ბედი გაქვს ჩაკეტილი... შენს მეზობლად შავებში ჩაცმული ქალი ჯადოს გიკეთებს... სანამ მაგ ჯადოს არ იპოვი, ვერ გათხოვდები!!!.....

ეროვნული ბიბლიოთეკა



— არ გადამრიო! ვიცოდი, ვიცოდი ჯადო რომ მქონდა გაკეთებული... მაიკო, ძვირფასო, მითხარი, როგორ მოვიქცე?

— თუ იპოვი, მტკვარში უნდა გადააგდო, თან ხმამაღლა უნდა სთქვა, ჩემი ჭირი წაუღია-ო.

...ნათიამ ნერვიულად გაიღიმა და ყავის ჭიქა მიაწოდა მაიას.

— რა თბილი სახე აქვს, — გაიფიქრა მაიამ და მთელი მონდომებით თვალები დაძაბა, რომ რაიმე სასიკეთო დაენახა მის ჭიქაში...

— ვერ ვმკითხაობ ნათია!! ველარ დამალა სიმართლე მაიამ.

— ძალიან გთხოვთ, იქნებ ცოტა მაინც დაინახოთ რაიმე...

— ერთი რამის თქმა შემიძლია მხოლოდ, შენ ძალიან ბედნიერი იქნები, ცოტა მოთმინება გჭირდება.

. . . . . . .

— საით მიდიხარ? ვერაზე? მოდი, ერთად წავიდეთ!

— მართალია, მაია, მკითხაობა?!

— არა, ვაფერისტობ, ერთ ფიგურასაც ვერ ვხედავ!!!

— აბა, მე მომატყუეთ?!

— ალბათ!

მაიას პირდაპირმა ლაპარაკმა ნათიას სურვილი დაუბადა, მთელი თავისი ცხოვრება მოეყოლა და დაიწყო, თუ როგორ გააჩინა ბიჭი, იმ ვიღაც ზურაბისაგან, თუ როგორ უყვარდა და როგორ შესწირა ამ დიდ გრძნობას სულიც და ხორციც... თუ როგორ დარჩა მარტო და როგორ უღალატა „მან“, იმასაც ბიჭი აჩუქა ცოლმა და რატომღაც ორივეს ერთი და იგივე სახელი დაერქვა „ბექარი“.

...იცი მაია, მე მხატვარი ვარ, ძალიან მინდა მოხვიდე ჩემთან სახელოსნოში, ჩემს შემოქმედებას გაგაცნობ, არ გაინტერესებს?

— ვგიჟდები, ისე მაინტერესებს!!!

— რატომ ასე ირონიით? ნახე მაინც, იქნებ მოგეწონოს!

...შავებში ჩაცმული ქალი იჯდა სარკმელთან, სევდიანად ქსოვდა რაღაცას, ხოლო ფეხებთან ორი დიდი კატა ეჯდა. სარკმლის კუთხეში ყაყაჩოების გვირგვინი ესვენა ობლად. „მარტოობა“ — ერქვა სურათს.

— ნათია, ალბათ ეს შენი განცდებია გადმოცემული, ასე გეშინია მარტოობის?!

— შენ ეს მითხარი, მოგეწონა?! ბანზე აუგდო სიტყვა ნათიამ.

— ძალიან... განსაკუთრებით ფერები მომწონს, შენი განწყობა უფრო მეტად სწორედ ფერებში მჟღავნდება, მაგრამ ეს ისეთი ტილოა, რომლის შემდეგ შედევრი უნდა შეიქმნას, მხოლოდ კარგა ხნის მერე... ან საერთოდ არაფერი!

...სიჩუმე ჩამოვარდა.

— სიყვარულის გწამს? — იკითხა უცბად ნათიამ.

— შენ მეკითხები მაგას?! რომელმაც სიყვარულს შესწირე ყველაფერი?! ლამაზი სიტყვები, ლამაზი შეხვედრები, ოცნების კოშკები და შენ წარმოიდგინე, ცრემლიც... გაივლის დრო და ის შენი ზურაბი არც კი გაგახსენდება.

— გამახსენდება! — ნერვიულად უპასუხა ნათიამ.

. . . . . . . . .

...ალო, მაია, გაიგე? ნათია გათხოვდა!

— მართლა?! როგორ გამეხარდა!!

— მაიკო, გამოტყდი, რა წამალი ასწავლე იმ ქალს, ან როგორ გაუხსენი ბედი?! რა იყო, შე ქალო, ჩვენ უფრო დიდხანს არ გვიცნობ? ჯერ ჩვენთვის გეშველა და მერე იმ გადამთიელისათვის!!

— ჩემო ნანა, მთელი უბედურება ის არის, რომ ჩემი წამალი მხოლოდ გადამთიელებზე მოქმედებს, თუ აღარ დარეკავთ, თქვენც ნამდვილად გეშველებათ!! — მაიამ იგრძნო, რომ სამუდამოდ მოიშორა, ეს ფუქსავატი ხალხი და შვებით ამოისუნთქა.

— ახლა კი ჩემს ნათიასთან წავალ და მივულოცავ.... ყაყაჩოების გვირგვინს მივუტან საჩუქრად დ[illegible]სიც ახალ სურათს შეჰქმნის, რომელიც ალბათ მართლა შედევრი [illegible]ნება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რასაცა გასცემ,



ზარემა „ბახჩისარაის შადრევნიდან“

ბალეტის ხელოვნება სრულ ძალისხმევას ითხოვს, თავდადებულ შრომას საკუთარი სულიერი და ფიზიკური ძალის დაუზოგავად: არავითარი შეღავათი საკუთარ თავს, არავითარი მოწყალება! გაუთავებელი ეგზერსიზი, დაუსრულებელი, ყოველდღიური გამეორება იმისა, რაც თითქოს კარგა ხანია ათვისებულია! არც დაღლილობას უნდა მიაქციო ყურადღება, არც ჩასისხლიანებულ, გადაყვლეფილ ფეხის წვერებს, არც ხშირი ბრუნვებისაგან დაბერილ ვენებს, გალეულ მკლავებს. უამისოდ განა ვნახავდით ჩვენ ვირტუოზულ ფუეტეს, სწრაფ შენეს მწკრივებს, მოლივლივე ნახტომს? განა შეგეკვრებოდა სუნთქვა, ჩაგეხუთებოდა სული ამ გასაოცარ სიმსუბუქის და ჰაეროვნების ხილვისას? განა შევეხებოდით ჩვენ იმ ჯადოსნურ სამყაროს, რომლის სახელიც ბალეტია?

ორმოცი წელი გავიდა იმ ბედნიერი დღიდან, როცა ევგენია გელოვანი, დღეს ჩვენი ბალეტის გამოჩენილი მოცეკვავე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, მაშინ კი მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებული, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასში მიიღეს. ოც წელიწადზე მეტი კი — სცენის ერთგული, უანგარო სამსახურის წლებია. „რასაცა გასცემ შენია“ — და კვლავ უბრუნდება ბალერინას მაყურებლის სიყვარული, მისი მადლიერი გული კვლავ და კვლავ იხსენებს ევგენია გელოვანის შექმნილ დაუვიწყარ სცენურ სახეებს.

ევგენია გელოვანის ნიჭს ემორჩილებოდა კლასიკური რეპერტუარის მრავალი როლი და, ამავე დროს, ქართული თანამედროვე ბალეტების ბევრი, ძალზე რთული და უაღრესად საინტერესო პარტია. ბეჯითად, თავგამოდებით, „ძერწავდა“ ბალერინა თავის სხეულს, ხვეწავდა პლასტიკას, თითოეულ მოძრაობასა თუ ჟესტს. დაუღალავმა შრომამ საშუალება მისცა გასცილებოდა გარეგნული მონაცემებით თითქოს წინასწარგანსაზღვრული რეპერტუარის ვიწრო ჩარჩოებს. მართალია, ევგენია გელოვანის შემოქმედებითს არსენალში სათანადო ადგილი ყოველთვის ეკავა სცენიურ სახეებს — ლალ, მგზნებარე და მომხიბლავ ლიზას (გერტელის ბალეტი „ამაო სიფრთხილე“), მხიარულ, გულუბრყვილო ტანიას (მოროზოვის „ექიმი აიბოლიტი“), მსუბუქ, ჰაეროვან, ამურს (მინკუსის „დონ-კიხოტი“), თამარს (ცინცაძის „ცისფერი მთის განძეული“), მაგრამ ნამდვილი წარმატება ბალერინამ მოიპოვა კლასიკური რეპერტუარის წამყვან, ასე ვთქვათ, „სერიოზულ“ პარტიებში და მრავალ ბალეტში, რომელთა შემქმნელი თანამედროვეობის გამოჩენილი ქორეოგრაფი ვახტანგ ჭაბუკიანი გახლდათ. ამ მხრივ სიმბოლური ჩანს მაშას სახე (ჩაიკოვსკის „მჩელკუნჩიკი“). აქ ბავშვური უშუალობა შერწყმულია ამაღლებულ რომანტიკულობასთან. ვ. ჭაბუკიანმა „მჩელკუნჩიკის“ საკუთარი ქორეოგრაფიული ვერსია შექმნა 1960 წელს. მის რედაქციაში ბალეტმა მოიპოვა დრამატურგიული ერთიანობა; დინამიური კომპოზიციები, მიჰყვებიან რა მუსიკის დინებას, მსუბუქად გადადიან ერთი მეორეში და ამდიდრებენ ქორეოგრაფიულ მონახაზს. მაშას პარტიის ერთ-ერთი შემსრულებელი ევგენია გელოვანი ორგანულად შევიდა, „ჩაიწერა“ ამ ბალეტში. ე. გელოვანის მაშა — პრინცესა ზღაპრიდან არის, მაგრამ ცივი და განყენებული როდია, იგი ადამიანური გრძნობით და სითბოთია მოსილი, ლირიკული, ყველა ზღაპრული გარდაქმნის ბავშვური თვალებით შემყურე. მაგრამ „მჩელკუნჩიკზე“ მუშაობას წინ უძღოდა კლასიკური რეპერტუარის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პარტიაზე, — ოდეტა-ოდილიას პარტიაზე მუშაობა (ჩაიკოვსკის „გედის ტბა“). ამ ბალეტის სპეციფიკა ის არის, რომ ორი ერთმანეთის საპირისპირო, კონტრასტული სახე ერთ შემსრულებელს აკისრია. ბალერინამ ბრწყინვალედ დასძლია როგორც ტექნიკური ამოცანები, ისე მხატვრული სახეების შექმნასთან დაკავშირებული სირთულეები. მისი ოდეტა — უმწეო და გულში ჩამწვდომი, მადლმოფენილი და ამაღლებული, ეხმიანება ზღაპრული სიუჟეტის მქონე სხვა ბალეტების პრინცესებს. ამგვარი მხატვრული სახის შექმნას უთუოდ ეხმარებოდა ე. გელოვანის ვირტუოზული ტექნიკა, თითოეული პოზის საგანგებო შერჩევა, პლასტიკური ხაზის სინატიფე. მკლავების ტალღისებური მოძრაობა კი იმდენად დახვეწილია, რომ გედის ფრთის სრული შთაბეჭდილება იქმნება. მაგრამ ეს — მხატვრული სახეა და არა ნატურალისტური იმიტაცია. ე. გელოვანი — ოდილია კი ცბიერი და თავდაჯერებულია. აპლომბი, ფუეტესა და სხვა ბრუნვების ურთულესი ტექნიკა, ყველა, პირველი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო, მოძრაობის ფილიგრანული დამუშავება, — ყოველივე ეს თვითმიზანი კი არ არის, არამედ სრულყოფილი მხატვრული სახის შექმნის საშუალებაა. ე. გელოვანის კლასიკურ რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ავრორას პარტიას (ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავი“) და ჩელიტას როლს (მინკუსის „დონ-კიხოტი“). ავრორა თითქოს აგრძელებს ბალერინას რეპერტუარის „პრინცესების“ რიგს. ეს სწორედაც რომ „კლასიკური პრინცესაა“, ქედმაღლური და ამაყი. მისი ჩინებული სიდიადე დინჯ ლირიკულ ადაჟიოში და ცქრიალა ვარიაციებში წარმოგვიდგება. „რუსულ“ ვარიაციაში კი, რომელიც ხასიათის გადაწყვეტის უფრო მეტ საშუალებას იძლევა, ე. გელოვანის ავრორა გრაციოზულია, მსუბუქია, მაგრამ დიადი და ამაყი რჩება.



ევგენია გელოვანი
და ზურაბ კიკალეიშვილი

სამართლიანად შეარქვეს ბალეტ „დონ-კიხოტს“ „ცეკვის დღესასწაული“. ეს ბალეტი შემსრულებელს საშუალებას აძლევს წარმოგვიდგინოს თავისი ტექნიკური მომზადება და ოსტატობა. ე. გელოვანის ჩელიტა, — მხიარული და კეკლუცი I მოქმედებაში, მაყურებელს იზიდავდა თავის მსუბუქი ნახტომით, სწრაფი დიაგონალებით. დონ-კიხოტის „სიზმრის“ სცენაში სულ სხვა მხატვრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენია



ევგენია გელოვანი
და ვახტანგ ჭაბუკიანი



კიტრი მინკუსის „დონ-კიხოტიდან“



ოდეტა „გედების ტბიდან“



ტანია „ექიმ აიბოლიტიდან“

სახეა: აკადემიური, თავშეკავებული. მესამე მოქმედება კი კლასიკური ცეკვის ტრიუმფია. დაუვიწყარია ე. გელოვანის მიერ შესრულებული ვარიაცია, რომელიც ფეხის წვერებზე ცეკვის ტექნიკაზეა აგებული, დაუვიწყარია მისი ფუეტე, მისი ამაღლებული „გადამდები“ განწყობა, მხიარული ღიმილი. განსაკუთრებული ადგილი ე. გელოვანის შემოქმედებაში უკავია წამყვან და სოლო პარტიებს ქართულ ბალეტებში. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ მზეთუნახავის სახე გ. კილაძის ბალეტ „სინათლეში“, გალია დ. თორაძის ბალეტში „მშვიდობისათვის“, აღმოსავლეთის ვარსკვლავი ს. ცინცაძის „დემონში“, ჯავარა დ. თორაძის „გორდაში“ (ყველა ამ ბალეტის შემქმნელი ვ. ჭაბუკიანია), თამარი ს. ცინცაძის „ცისფერი მთის განძეულში“ (დამდგმელები კ. დოლიძე, ა. წერეთელი, ი. სანაძე).

ვ. ჭაბუკიანის ბალეტებში ე. გელოვანის ნიჭი კიდევ უფრო მეტად გამოვლინდა და ცალკეულ პარტიებში ბალერინამ მიაღწია ნამდვილ დრამატულ სიღრმეებს. უნდა აღინიშნოს, რომ „სინათლის“, „მშვიდობისათვის“, „დემონის“ შექმნისას ვახტანგ ჭაბუკიანს გათვალისწინებული ჰქონდა ე. გელოვანის, როგორც ამ როლების პირველი შემსრულებლის, ტექნიკური მონაცემები და არტისტული შესაძლებლობა.

გალია (დ. თორაძის ბალეტი „მშვიდობისათვის“) იმ ახალგაზრდა თაობას ეკუთვნის, რომელსაც ომი დაატყდა თავს. ეს პარტია დრამატულ კულმინაციას აღწევს სცენაში, სადაც მოქმედება მიმდინარეობს ფაშისტურ ბუნაგში. ერთი მხრივ ცალკეული მიზანსცენების პლასტიკური გადაწყვეტა და მეორე მხრივ მკაცრი აკადემიზმი ე. გელოვანს აძლევდა ამ მხატვრული სახის მაქსიმალური გაგებისა და გადმოცემის საშუალებას.

შურისძიების სურვილით შეპყრობილი ჯავარას სახე ე. გელოვანის შესრულებაში ივსებოდა ტრაგიკული შინაარსით, აღწევდა სიმბოლიური განზოგადების დრამატულ სიღრმეებს. ამგვარ სახე-სიმბოლოდ წარმოგვიდგება მზეთუნახავის პარტია ბალეტ „სინათლეში“. მზეთუნახავი ავი სულების, მავნეებისა და ეშმაკების, მანკიერების სამყაროს განსახიერებაა. ვირტუოზული შესრულება ურთულესი ქორეოგრაფიული კომპოზიციებისა, სადაც გამოყენებული იყო აკრობატული ელემენტებიც კი, მთლიანად ემორჩილებოდა მხატვრული სახის შექმნის ამოცანას.

ე. გელოვანის რეპერტუარში სხვადასხვა დროს შესული იყო პარტიები: ზარემა ასაფიევის („ბახჩისარაის შადრევანი“), პასკუალა (კრეინის „ლაურენსია“), ჟიზელი (ადანის „ჟიზელი“), ტაო-ჰოა (გლიერის „წითელი ყაყაჩო“) და მრავალი სხვა.

ევგენია გელოვანის შემოქმედება ძალზე საინტერესო ფურცელია ქართული საბჭოთა ბალეტის ისტორიისა.

ალექსანდრა მარგველაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თენგიზ გუაჩიძე

# ქართველი ქალებისადმი

I

პირველად მეძლევა საშუალება თქვენი ჟურნალის მეშვეობით თქვენ მოგმართოთ, ქართველო ქალებო.

აქამდე, როცა ახალგაზრდებს ვესაუბრებოდი, ან ჩემს თანატოლებთან ვბაასობდი, არასოდეს ცალკე არ გამიყვია ქალები კაცთაგან, ყმაწვილი ვაჟები ყმაწვილქალთაგან. საქართველოში ტრადიციულად მოგვდევს, ქალი კაცის სწორად ჩავთვალოთ, საგანგებო გამოყოფით უნებურად არ დავამციროთ და გულით და გონებით ჩვენი, კაცების ტოლებად ვიგულისხმოთ.

ეს სრულიად დაუფიქრებლად, ხაზგაუსმელად, წინასწარ განუზრახველად ხდება, და ესაა სწორედ იმ ტრადიციის შედეგი, ასე მძლავრი რომაა და მთელს არსებაში რომ გვაქვს მტკიცედ გამჯდარი.

ეს ქალებისადმი პატივისცემის ნიშანია.

მაგრამ ზოგჯერ გარემოებათა გამო სხვათა და სხვათა, სპეციალურად ქალებს მივმართავთ ხოლმე მათი ჩვენგან მაინც განსხვავებული ბუნების, ინტერესების, როლისა და მდგომარეობის გათვალისწინებით.

ეს არ არის უპატივცემულობის ნიშანი, არამედ განსაკუთრებული ვითარებითაა გამოწვეული, რამაც სწორედ ახლა უშუალოდ თქვენდამი მომართვა განაპირობა.

2

ცნობილია, რომ დღევანდელ მსოფლიოში ყოფის ყველა დარგის და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ინტენსიური ფემინიზაცია („გაქალება"!) ხდება. ქალები — პრემიერ-მინისტრები, მინისტრები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, პარტიის ლიდერები, კორპორაციების, ფირმების, სავაჭრო და კულტურის ცენტრების მეთავენი, სპორტში — ფეხბურთელები, მოჭიდავენი, მოკრივენი და სხვა და სხვა... თითქმის ყველა ადგილს, წინათ მხოლოდ მამაკაცის შესაფერისად რომ იყო მიჩნეული, დღეს ქალი იჭერს.

ვინ ამბობს, რომ ეს ცუდია? არავინ ამას არ ამბობს, პირიქით, ეს ზოგადი მოვლენა მოწმობს, რომ თანდათან წარსულს ბარდება ქალების ტრადიციული დაუფასებლობა, მათი გონებისა და ორგანიზატორული შესაძლებლობების დაკნინება, მათი მიჯაჭვა მხოლოდ ოჯახის კერაზე და მათი უფლებების კანონისმიერი თუ პიროვნულ-საზოგადოებრივი შეზღუდვა.

ამ მხრივ, სრულიად განსაკუთრებული ვითარებაა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ქალს აბსოლუტურად შეუზღუდავი, მამაკაცთან სავსებით გათანაბრებული უფლებები და შესაძლებლობები აქვს.

ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ მისი გონივრული მართვა აუცილებელია.

და მე ვფიქრობ, რომ ამ გონივრული მართვის ინიციატორები და მეთავენი თვით ქალები უნდა გახდნენ. კერძოდ ქართველი ქალებიც.

3

სანამ ოჯახი არ გადაშენებულა, სანამ მომავალი ოჯახში იბადება, იზრდება და ფიზიკურ-ზნეობრივად ყალიბდება (განსაზღვრულ ასაკამდე მაინც). ოჯახის როლის დამცირება, შეზღუდვა, დაუფასებლობა, დაკნინება და აბუჩად აგდება ერის წინაშე დანაშაულად მესახება.

რაც უნდა ვიხტუნოთ, ვამტკიცოთ, ვიფიცოთ და ვიყოყლოჩინოთ მამაკაცებმა, ოჯახის ბურჯი, წარმმართავი, დამცველი და განმავითარებელი უმეტესად ქალია, დედაა... ოჯახის საფუძველი ქალია, ოჯახის აზრი — შვილი ანუ მომავალია.

იდეალად მესახება ის ვითარება, როცა ქალი სასარგებლო საზოგადო მუშაკია და სანიმუშო დედაა, მომავლის აღმზრდელია, ხშირად ხდება ეს დამთხვევა?

თანაც, რა ტვირთს იტვირთავს ქალი, როგორ უძლებს ამ დატვირთვას მისი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობა?

განა მამაკაცს ძალუძს ამ ტვირთის ზიდვა?

მაგრამ ქალმა რომ თვითდამკვიდრების ახალი და უფართოესი ასპარეზი მოიპოვა, ესწრაფვის კიდეც მას, სოციალურად და ფსიქოლოგიურად ეს სწრაფვა სავსებით გამართლებულია.

და აზიდა უდიდესი ტვირთი.

და ჰკარგავს რაღაც ისეთს, რაც მისი არსისმიერია, შეგნებულად თუ შეუგნებლად დათრგუნვილი ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

ამგვარია ვითარება ზოგადად.

ცალკეული ბედნიერი გამონაკლისები ამ ზოგადი ვითარების მხოლოდ დამამტკიცებელია.

ამას საყოველთაო სოციოლოგიური და ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევებიც ადასტურებს.

4

რა ფიქრი მაწუხებს და რისთვის ვზრუნავ პირადად მე?

როგორი იქნება ჩვენი მცირერიცხოვანი ერის მომავალი?

თუ ქართველმა ქალმა დღეს ერთ-ორ შვილზე მეტი არ გააჩინა, ხვალ გავქრებით, გადავშენდებით. სტატისტიკურად ეს გამოთვლილია.

ჩვენს გარშემო შობადობის ბუმია.

ჩვენში ერთი-ორი შვილის გარშემო ცეკვა-თამაშია.

5

ქალი მარტო შვილებს კი არ აჩენს და ზრდის, — ქალი ზოგჯერ ქმარსაც აყალიბებს ოჯახის წევრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მასში ოჯახის პატრონის ფსიქოლოგიას ნერგავს და ზრდის.

ხშირად ეს პროცესი შეუმჩნევლად, ორივე მხარისათვის გაუცნობიერებლად მიმდინარეობს.

ზოგჯერ იგი ოჯახურ კონფლიქტებს იწვევს. უმეტესად კაცია ამისთვის პასუხისმგებელი. კაცი უფრო მიმტევებელი უნდა იყოს. შვილებიანი დედის საზრუნავი უფრო მეტია, გაცილებით მეტი.

წინათ ასე ხდებოდა: ქმარი მომპოვებელი იყო, ცოლი — მომხმარებელი.

ახლა ამ საქმეში ორივე გათანაბრებულია.

მაგრამ ქალს პირველსაზრუნავი არ მომკლებია და არც შემსუბუქებია. პირიქით. ახლა ზოგჯერ ასე ხდება: ქალი მომპოვებელია, აღმზრდელია, პასუხისმგებელია, ზოგიერთი კაცი — კმაყოფაზე მყოფი მომხმარებელია.

თუ ქალის ტვირთი გაორმაგდა და გასამმაგდა, კაცის ტვირთი არსებითად არ შეცვლილა.

ამ პირობებში ბევრი კაცი ოჯახის საქმეს თაკილობს. განსაკუთრებით ჩვენში. ეს მარტო ქალის წინაშე კი არა, — ერის წინაშეც დანაშაულია!

6

ქალი ტრადიციის დამცველია, ენისა და ერის შემნახავია.

მაგალითად, ვინ ინახავს დედაენას შორეულ ფერეიდანში?

ხომ მიმზიდველნი, ალტაცების მომგვრელნი და უაღრესად პატივსაცემნი არიან ჩვენი გმირი ქალები, ვთქვათ, მაია წყნეთელი ან თამარ ვაშლოვანელი?

ჩემთვის უფრო სათაყვანოა ცხრა ძმა ხერხეულიძეთა დედა, არა იმიტომ, რომ შვილები დაეხოცა და მასზე საბრალო დედა ქვეყანაზე არ მეგულება, არამედ იმის გამო, რომ ეს შვილები გააჩინა.

კი, ბატონო, ხმალი აიღეთ, ქალებო, ბრძოლაში გადით, სამშობლოს გმირულად შეეწირეთ, მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ერისათვის ერთი ქალის სიკვდილი ათჯერ მეტი სიკვდილია, ვიდრე ერთი კაცის სიკვდილი.

ძნელი სარწმუნოა ეს თითქოს პარადოქსული აზრი?

აბა, დაფიქრდით...

7

თუ გსურს, რომ მოვლილი, თავშენახული, ჯანმრთელი და მომავლის მქონე ერი გყავდეს, მოუარე, შეინახე, ჯანმრთელად გყავდეს შენი ერის ქალები.

როგორც შენ სცემ პატივს ქალს, ისევე პატივს გცემენ შენც. ნებისმიერი ერის ერთი ქალიც თუ დალუპვას გადარჩა, ერი არ გადაშენდება, რადგან ქალი თავის შვილს თავის ენაზე გაზრდის.

კაცი დღევანდელი დღეა, ქალი — მომავალი.

ეს აზრებიც პარადოქსულია?

8

ზოგიერთი ქალი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, ფიქრობს, რომ თვითდამკვიდრების ერთადერთი ფორმა და საკუთარი პიროვნებისადმი ინტერესის აღძვრის ერთადერთი საშუალება ორიგინალობის თამაშია; სულერთია, რაში გამოიხატება ეს ორიგინალობა — ჩაცმაში, საუბარში, ყოფაქცევაში, სახის მოკაზმვაში, თამბაქოს წევაში, კონიაკის ყლურწვაში თუ სხვა ამგვარში.

რა საჭიროა ჭკუის დარიგება და მორალის ქადაგება, ისინი მალე თვით მიხვდებიან თავიანთ შეცდომას: ასეთი ქალი მხოლოდ შინაგანად ულირს კაცს მოეწონება, — გარეგნულად შეიძლება შესაფერისსაც, მაგრამ შინაგანად ულირსს.

ცხოვრება სულ თამაში არ არის, მასში ტრაგედიაც არის და კომედიაც.

ეს ისე არ გაიგოთ, თითქოს ქალის გარეგნობას და სიკოხტავეს მნიშვნელობა არა ჰქონდეს.

თუ ჩემისთანა კაცს დაეჯერება, მთავარი მაინც ქალის (ასევე კაცის) შინაგანი არსია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც გაიხსენეთ: „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეობს“...

ყველაფერი წარმავალია — ახალგაზრდობაც, სილამაზეც, ერთია მუდმივი — შინაგანი სულიერი წყობა.

ამაზე იფიქრეთ.

იფიქრეთ აგრეთვე იმაზე, რა განსაკუთრებული მისია გეკისრებათ ერის ცხოვრება-არსებობაში.

იცოდეთ, ქალის ცხოვრება რთულია...

9

დაწერილი რომ გადავიკითხე, უცებ აზრმა გამიელვა, ვინმემ არ იფიქროს, ამ სტრიქონების ავტორი უკან დახევა-დაბრუნებას, ქალის კვლავ ოჯახზე მიჯაჭვას, მათი ინტერესების შეზღუდვას ქადაგებსო.

მთლად ასე მკვეთრად არა, მაგრამ მაინც მომხრე ვარ ქალთა შრომის და ტვირთის შემსუბუქებისა.

თვით ქალების მიერ — გონივრული თვითშეზღუდვისა.

თვით კაცების სურვილით ქალების ტვირთის კაცების ხარჯზე შემსუბუქებისა.

მომხრე ვარ ქალების მიმართ მეტი პატივისცემისა; საზოგადოების ცხოვრებაში, ერის არსებობაში მათი განსაკუთრებული როლისა და მისიის საყოველთაოდ აღიარებისა და, აქედან გამომდინარე, სათანადო დასკვნების გამოტანისა.

თუ ვინმე კონსერვატორად ჩამთვლის, — ჩამთვალოს! ეს კი არაა საშიში, საშიში სხვაა, რაზეც ზემოთ გარკვევით მოგახსენეთ.

10

დადგა ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი წელი.

ორიათას წლამდე სულ ცოტაღა დარჩა.

ჩემი ასაკის ხალხი მიმწუხრზე მიმდგარი საუკუნის შვილებად და მუშაკებად დავრჩებით.

დღეს და ხვალ დაბადებულნი — მომავალი საუკუნის შვილები და მუშაკები იქნებიან.

ქართველო ქალებო, თქვენ რომ უწყოდეთ, რამდენადაა სწორედ თქვენზე დამოკიდებული ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს სახე და ბედ-იღბალი!

გისურვებთ მშვიდობიან წელიწადს!

# ახალი ლექსები

## მოწამეთელ ჭარხალაშვილებს

მუხლჩაუდგმელო გამრჯენო, თქვენში ვხედავ ღმერთს,
მზე გიმჩატებთ შრომას, უკვდავ ნათელს გფენთ,
თქვენში ვხედავ შემოდგომას, ზღვა სიხარულს, რთველს,
მადლიანი მარჯვენა დაგელოცოთ თქვენ.
თქვენში ვნახე: გლეხს როგორ უყვარს მიწა,
როგორ უვლის თოხს, ბარს, გუთანს და ფიწალს,
როგორ უალერსებთ ბალ-ბოსტანს, ვაზს, ყანას,
ქალაქმა რომ ერთიც კი ვერ წაგიყვანათ.
თითქოს ჩვილი ბავშვია, უფრთხილდებით ნერგებს
შეჰხარით მზეს, წვიმას — ბუნებას ყოვლის შემძლეს,
და კურთხეულ მიწას ხნავთ, თოხნით და ფარცხავთ,
ავ-სულს არ აკარებთ გაღვივებულ მარცვალს,
პური, მარილი და ულრუბლო ცა გატკბობთ,
ეს სიმდიდრე ჩვენო არ მოგვშლოდეს ამბობთ,
დაე, არ მოგშლოდეთ მზიან ზეცის მადლი,
თქვენსავით უყვარდეს ყველას მიწის ადლი.

## სიმღერა

არც სიმღერა გვითქვამს ერთად,
არც გუთანი გვიწევია,
არც ალუბლის მწიფე ტოტი,
ჩემთვის არ დაგიწევია,

არც ფარ-ხმალი არ ხარ ჩემთვის,
არც ქარ-წვიმას შედგომიხარ,
მაშ ამდენი სიყვარულით,
რამ შემშალა, ერთი მითხარ.

## მეგობარო!

ო, მეგობარო, ჩემს უიღბლო
სიყვარულზე მალაპარაკე,
ვილაპარაკებ, არა ზღაპრებს,
ნამდვილ ამბავს ვილაპარაკებ,
ოღონდ მისმინე, მერე გინდა
გაიცინე, გინდა დამძრახე,
გინდა დიდი ქვა ყელს დამკიდე,
მდინარეში გადამიძახე,
მიხსენ ტანჯვისგან, დამასვენე,
შენც დაისვენე,
მერე, როცა მისა სიმღერის
ხმას გაიგონებ, მეც გამიხსენე,
თუ გიყვარდე, მეც გამიხსენე...

ჯანიკო გაბუნია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ახალი ცხოვრება

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები იყო. აჭარაში ქალთა განთავისუფლებისათვის მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია და ხელისუფლების ორგანოები ითვალისწინებდნენ ამ კუთხის ქალთა შორის მუშაობის თავისებურებებს და ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ისტორიული ბედუკუღმართობით ოსმალოს ბატონობის პერიოდში რელიგიური ფანატიზმის ტყვეობაში მყოფი, ჩადრით შებურვილი ქართველი მაჰმადიანი ქალის განთავისუფლებისათვის.

მრავალჭირნახულმა აჭარელმა ქალებმა უკან მოიტოვეს ოსმალთა ბატონობის, ცარიზმის კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის მძიმე წლები და ახალი ცხოვრების მშენებლობის გზას დაადგნენ. მათ რიგებში გაბედულად ჩადგა ენერგიული, საქმიანი, ნიჭიერი ორგანიზატორი ხულოელი ქალი მუხთერ ბოლქვაძე.

...1921 წლის 13 მარტს მე-11 არმიის მე-8 დივიზია ქლობას მეთაურობით გოდერძის უღელტეხილით ხულოსკენ მიემართებოდა. ოფიცრებს ქალებიც ახლდნენ. პროგრესულად მოაზროვნე მაია ბოლქვაძემ შვილს ურჩია სოფელ რიყეთში თავისი მეუღლე — მუხთერიც წამოეყვანა სტუმრების დასახვედრად. ქალთა განთავისუფლებისათვის ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების დავალებით მალე ხულოში გაიგზავნა აქტივისტი ქალი აგრაფინა თალაკვაძე, რომელიც მუხთერის მამამთილმა შინ მიიწვია და რძალი გააცნო. მუხთერი სწორედ მამამთილისა და მეუღლის ხელშეწყობით ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობაში და ბევრი რამ გააკეთა ხულოს რაიონის სამეურნეო და კულტურული წინსვლისათვის...

სამეურნეო ცხოვრებაში ქალთა ჩაბმის მიზნით პირველად მათ სოფელში შეიქმნა ჭრა-კერვის სკოლა, მათსავე სახლში გაიხსნა წინდების საქსოვი სახელოსნო, ხოლო ხალიჩების საქსოვი სახელოსნო სოფელ დიდაჭარაში ამუშავდა.

1925 წლის აგვისტოდან ხულოში ქალთა შორის მუშაობის ორგანიზატორად მარო კუნჭულია-სურგულაძე გაიგზავნა, რომელიც ჯერ კიდევ 1919 წელს ოზურგეთის მაზრაში რევოლუციურად მოაზროვნე ქალებს მარო ლომინაძესა და ალვასი თალაკვაძეს დაუახლოვდა და მათი ხელმძღვანელობით ასრულებდა პარტიულ დავალებებს.

მარო თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ იმ ხანად ხულოში ქალთა შორის მუშაობისათვის მძიმე პირობები იყო, მაგრამ ამის მიუხედავად აქტივისტი ქალები ოლია როყვა, ნინო გელოვანი, ლუბა ნაკაიძე, ნინო კაცაძე-ანდღულაძე და სხვები სოფელ-სოფელ დადიოდნენ, ქალებს ესაუბრებოდნენ, წერა-კითხვას ასწავლიდნენ. მალე მათ მხარში ამოუდგნენ ემინე და ზექიე ბოლქვაძეები. სწორედ ბოლქვაძეების ოჯახის დახმარებით ქალთა მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურდა ალმეში, ღურტაში, დიდაჭარაში და სხვა სოფლებში.

1925 წლის 15 აგვისტოს ხულოში ქალთა კომიტეტის საორგანიზაციო კრება მოიწვიეს, რომელსაც 17 ხულოელი ქალი დაესწრო. მათ აირჩიეს ქალთა კომიტეტი. მუხთერი ამ კომიტეტის პირველი ხელმძღვანელი იყო.

ქალთა ინიციატივით ხულოში 1926 წელს პირველად აღინიშნა ქალთა საერთაშორისო დღესასწაული — 8 მარტი. აჭარელმა ქალიშვილებმა აქ საჯაროდ დააყენეს ჭრა-კერვის, წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების გახსნის საკითხი. იმავე წლის 11 ივლისს ხულოში გაიხსნა ქალთა ცენტრალური კუთხე. 1927 წლის აგვისტოში ქალთა კუთხე ჩამოყალიბდა სოფელ ალმეში. 1928 წელს ხულოში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 15 ქალმა. ეს უდიდესი გამარჯვება იყო. ადგილობრივი ქალები მტკიცედ დაუპირისპირდნენ ხოჯა-მოლებს, რომლებიც გულხელდაკრეფილი როდი უყურებდნენ ქალთა გამოფხიზლებას. ისინი მოსახლეობას რაზმავდნენ ჩადრახდილი ქალების წინააღმდეგ. სწორედ ამ ბრძოლას შეეწირნენ ღურტელი ახალგაზრდა აიშე ღორჯომელაძე და ჩაქველი — თამარ უნგიაძე, რომლებიც რელიგიური ფანატიზმით გონებადაბნელებულმა ადამიანებმა გაუგონარი წამებით მოკლეს.

1926 წლის 30 სექტემბერს ხულოელი ქალები პირველად მიიღეს პარტიის რიგებში. ესენი იყვნენ მუხთერ და ემინე ბოლქვაძეები, რომლებიც მრავალი მუქარის მიუხედავად არჩეულ გზას მტკიცედ ადგნენ. საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, ადრე ხულოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორი ლიპა ჩხიკვიშვილი იხსენებს ამ კომუნისტი ქალების საქმიანობას და დაწვრილებით ახასიათებს მუხთერს, როგორც ენერგიულს, საქმიანსა და გაბედულ ქალს. მას ხშირად მოკვლითაც ემუქრებოდნენ, მაგრამ ხელი ვერ აალებინეს ქალთა შორის მუშაობაზეო.

მუხთერი აქტიურად იღვწოდა ადგილობრივი ხელისუფლების განმტკიცებისათვის. იგი არჩეული იყო აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, ხელმძღვანელობდა ხულოს რაიონული საბჭოს აღმასკომს. 1927 წელს აჭარის ქალთა საოლქო კრებამ იგი ქალთა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატად აირჩია. ყრილობის მუშაობის დროს მუხთერი შეხვდა ნადეჟდა კრუპსკაიას, აბელ ენუქიძეს.

ქალთა დაწინაურების საქმეს მხარში ედგნენ პროგრესულად მოაზროვნე კაცებიც, ფურტიოელი გლეხი ინუს ბერიძე ახალი ცხოვრების შექმნის აქტიური მონაწილე იყო. მან თავისი 60 წლის მეუღლეს ფერიდე ბერიძეს ჩადრი ჩამოხსნა. ქალები სუფრას ემსახურებოდნენ და სუფრასთან ისხდნენო — აღნიშნავდა გაზეთი „ფუხარა" 1928 წელს.

წინსვლისათვის ერთობლივმა ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო. მაჰმადიანი ქართველი ქალი, რომელმაც ძნელბედობის ჟამს მტკიცედ შემოინახა მამაპაპური, ქართული ზნე-ჩვეულებები, მშობლიური ენა, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე მტკიცედ დაადგა ახალი ცხოვრების გზას.

მერი გოცირიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 23 თებერვალი — საბჭოთა არმიის დაბადების დღე



# ფრონტული სურათები

18477

ჩვენი ჯარების მიერ უკუგდებული მტერი დასავლეთისაკენ გარბოდა. 1943 წლის 4 იანვრიდან 21 იანვრამდე ერთიმეორის მიყოლებით განთავისუფლდა ჩრდილო კავკასიის ქალაქები: ნალჩიკი, პიატიგორსკი, კისლოვოდსკი, მინვოდი. 414-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები უკუქცეულ მტერს მივსდევდით, 1053-ე საარტილერიო ლეგიონის ქვედანაყოფები მარშზე ვიმყოფებოდით.

მთელი დღე თოვდა. საღამოს, როცა დასახლებული პუნქტიდან ოტარო-კუბანისკოედან გამოვედით, განკარგულება მივიღეთ, ღამე სოფელში გაგვეთია და კრაპოტკინი-არხანგელსკოე-ტიხორეცკის მიმართულებით გზა დილით განგვეგრძო. ქვედანაყოფის პირადი შემადგენლობის დასაბინავებლად დაუნგრეველი შენობის მოძებნა გაჭირდა. გაგზავნილმა მზვერავებმა შეგვატყობინეს, რომ სოფელში სულ რამდენიმეა ასეთი სახლი, ყველაფერი დანგრეული და დამწვარიაო.

ქვედანაყოფი შედარებით ნაკლებად დაზიანებულ საწყობში განვალაგეთ, საყარაულო სამსახური მოვაწესრიგეთ, და აწი, უკვე მოსვენება შეიძლებოდა. ლეიტენანტმა ნ. არუთინოვმა ღამის გასათევი ადგილი მონახა, რომ ამ დროს მიწაში ჩაფლული ფართო მილი შევნიშნეთ, საიდანაც კვამლი ამოდიოდა. მილი ბოსტნეულის შესანახავი სარდაფიდან იყო ამოყვანილი.

სარდაფიდან კიბით ქალი ამოვიდა. მას ოთხიოდე წლის გოგონა ეკავა. მის უკან ორ ცნობისმოყვარე ბიჭს გამოეყო თავი და ჩვენ მოგვჩერებოდნენ.

ქალმა კეთილშობილურად გაგვიღიმა და მიგვიპატიჟა: ყველანი დავეტევით, მართალია, საწოლები არ გვეყოფა, მაგრამ თბილა, ნარები და თივა ყველასთვის იკმარებსო.

ძალიან დაღლილები ვიყავით. ძილისაგან თვალები გვეხუჭებოდა, სიარულის და სხვა ბინის ძებნის თავი არ გვქონდა. დიასახლისის წინადადებას წინააღმდეგობის გაუწევლად დავთანხმდით, ვახშამზეც არ ვიტყოდით უარს. ჩვენ თან არაფერი გაგვაჩნდა, სამეურნეო ქვედანაყოფი და სამზარეულო კი ძალიან ჩამოგვრჩა და რაიმეს იმედი გადაწურული გვქონდა.

დიასახლისი დონის როსტოვიდან ევაკუირებული ბავშვის ავადმყოფობის გამო ჯგუფს ჩამორჩენია, აქაურ მოსახლეობას შეუკედლებია და საარსებო პირობები შეუქმნია. მისი ქმარი 1941 წლიდან ფრონტზე იბრძოდა.

ქალი მოტეხილი და ნატანჯი ჩანდა, დახეული „ტელეგრეიკა" ეცვა, ეტყობოდა საკმაოდ განათლებული იყო. მზრუნველი და მოსიყვარულე დედა ჩანდა. დიასახლისმა საჭმლის მზადება დაიწყო და გვთხოვა არ დაგვეძინა. ქათამს დავკლავ, რომელიც გერმანელებს გადავუმალე, ბულიონს მოგიხარშავთ, აბა მშივრებს ხომ არ დაგაძინებთო. ჩვენ კატეგორიული უარი განვაცხადეთ, მით უმეტეს, გავიგეთ, რომ ქათამი ყოველდღე დებდა კვერცხს.

სარდაფში ძალიან ცხელოდა. შარვალ-ხალათი გავიხადეთ, იარაღი და საბუთები თავქვეშ ამოვიდეთ და დაღლილებს მალე ღრმად ჩაგვეძინა.

დიასახლისმა გამოგვაღვიძა. ჩასაცმელად წამოვხტით, მაგრამ გაკვირვებულნი შევაცქერდით ჩვენს ტანსაცმელს: ჭუჭყიანი, გაქონილი ბლუზები და შარვლები გარეცხილი, დაუთოვებული და კოხტად დაკეცილი წინ გვეწყო.

დაბნეულები ვიცმევდით, ვერ გაგვეგო, ერთმა ქალმა ასეთ მოკლე დროში როგორ გარეცხა, გააშრო და დააუთოვა ორი კაცის შარვალ-ხალათი! დიასახლისი მიხვდა ჩვენს დაბნეულობას, გაიღიმა და თითქოს თავის გასამართლებლად ჩაილაპარაკა. ხომ არ შემეძლო ჭუჭყიანები გამეშვითო.

ხელპირის დაბანის შემდეგ მაგიდას შემოვუსხედით. მასზე თეფშები, კოვზები და პურისა და ორცხობილის ნამცეცები ელაგა.

დიასახლისმა ქათამი მოგვართვა. აბა მშივრებს ხომ არ გაგიშვებთ გზაზე. ეგეც არ იყოს, ბავშვების საჭმელი აღარა მაქვსო, — გამოგვიტყდა თავის გასამართლებლად. ბევრი ვეწვეწეთ და ვთხოვეთ უჭმელები გაგვეშვით, მაგრამ ჩვენმა მუდარამ არ გაჭრა. ის კი არა, დიასახლისი გაგვიანაწყენდა, თვალებზე ცრემლი მოადგა.

ერთიანად შეგვძრა ამ კეთილშობილი ადამიანის მოქმედებამ. სულ იმას ვფიქრობდით, რით გადაგვეხადა პატივისცემა. დიდი მადლობით გამოვეთხოვეთ და ბავშვებიც თან გავიყოლიეთ სამეურნეო ქვედანაყოფისაკენ.

ცოტა შაქარი, საკმარისი ჭვავი და თევზი ვიშოვეთ, ამას ფულიც დავუმატეთ და ბავშვებს გამოვატანეთ.

როცა კოლონა გზაზე წასასვლელად გამწკრივდა, დავინახეთ, რომ ჩვენსკენ დიასახლისი და ბავშვები მორბოდნენ, ხელს გვიქნევდნენ, რაღაცას ყვიროდნენ.

არუთინოვმა და მე მათთან მივირბინეთ და უკან დაბრუნება ვთხოვეთ, მაგრამ დიასახლისი ცრემლიანი თვალებით მორბოდა, ხელში ბავშვი ეჭირა და ღმერთს ევედრებოდა, რომ ჩვენ ცოცხლები დავბრუნებულიყავით ოჯახებში. პატარა ბიჭებიც დედის გვერდით იყვნენ, მანამ მორბოდნენ, სანამ ძალღონე არ გამოელიათ და მიწაზე არ დასხდნენ.

მივდიოდით და უკან ვიყურებოდით, ისინი მანამ გვიქნევდნენ ხელს, სანამ თვალთაგან არ მივიმალეთ.

ახლა ვნანობ, რომ იმ ქალს ვინაობა არ ვკითხე. მაშინ ხომ როსტოველებს გავაგებინებდი, თუ რა კეთილი, უბრალო, მოსიყვარული დედა და პატრიოტი ქალი დააბიჯებდა მათ მიწაზე. იგი შეიძლება ახლაც ცხოვრობს მათს გვერდით.

* * *

**ქერჩთან და მის მიდამოებში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა.**

**414-ე ანაპის წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიის 1053 საარტილერიო ლეგიონის სათვალმადევრო პუნქტები ძირითადად აზოვის ზღვის სანაპიროსთან მოწყობილ ძელმიწურებში იყო განლაგებული. ამ ადგილებიდან გერმანელები განვდევნეთ და შეტევისათვის ვემზადებოდით.**



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ, 1944 წლის თებერვლის ბოლოს, მიწურში ყოფნისას დოლაადრიანად რაღაც უცნაური ყიჟინა შემოგვესმა, ვიფიქრეთ, რომ მტერმა უთუოდ დესანტი გადმოსხა და შეიარაღებულნი გარეთ გამოვვარდით.

ვერ მივმხვდარიყავით, რა ხდებოდა ირგვლივ. ყველა ყვიროდა და მუშტებს იქნევდა. უცბათ მოწინააღმდეგის „მესერშმიტმა" ზედ თავზე გადაგვიქროლა. ნახევარი რკალი შემოხაზა და მიმართულება შეიცვალა. მხოლოდ ახლა შევნიშნეთ ფოსტის, მედიკამენტების, მეკავშირეების და დაჭრილთა დამტარებელი ჩვენი თვითმფრინავი"უ-2," რომელმაც აგრეთვე შეიცვალა მიმართულება და ნაპირისაკენ გაფრინდა.

„მესერშმიტისა" და ჩვენი უიარაღო თვითმფრინავის „უ-2"-ის ორთაბრძოლა წარმოუდგენლად მიგვაჩნდა.

აზარტში შესული ხალხი კი ყვიროდა და მუშტებს იქნევდა. უეცრად „უ-2" თითქოს ცას მოსწყდაო, დაბლა დაეშვა. წყლის ზედაპირსა და ნაპირს გაკრული სრუტისაკენ მიფრინავდა. „მესერშმიტი" მას ძალიან სწრაფად და დიდი დახრის კუთხით მისდევდა. „პიკე"-დან ვერ გამოვიდა და ჩვენს თვალწინ აზოვის ზღვის ტალღებში შეიჭრა. ერთხანს მხოლოდ კორპუსის ნაწილი და ბოლო მოუჩანდა, მერე ისიც ნელ-ნელა შთანთქა ზღვის აზვირთებულმა ტალღებმა.

უნდა გენახათ მომხდარით და ნანახით აღფრთოვანებული მებრძოლები, რომლებიც ბავშვებივით დახტოდნენ, იცინოდნენ და სიხარულით ერთმანეთს ეხვეოდნენ.

„უ-2" ნელ-ნელა ავიდა მაღლა, რკალი შემოხაზა და სულ ახლოს, დაახლოებით კლდის სიმაღლეზე ჩაგვიქროლა. ჩვენ აღტაცებაში მოვედით, როცა იქიდან მომზირალი ქალიშვილის სახე დავინახეთ. მას თმა გაშლოდა, ხელში პილოტის ჩაფხუტი ეჭირა და გვიქნევდა.

ეს ამბავი ფართოდ გააშუქა საფრონტო გაზეთმა.

როგორც შემდგომ შევიტყვეთ, თვითმფრინავი სახელგანთქმულ ქალთა „ღამის ბომბდამშენ" ლეგიონს ეკუთვნოდა. ლეგიონს საბჭოთა კავშირის გმირი, პოდპოლკოვნიკი ევდოკია დავითის ასული ბერშანსკაია მეთაურობდა. სამწუხაროდ, მფრინავი გოგონას სახელი და გვარი არ დამახსომდა.

მრავალჯერ ვყოფილვართ მფრინავ ქალთა სამხედრო ოსტატობის და გმირობის მოწმენი. 1944 წლის მაისის ღამეებში, სევასტოპოლის მისადგომებთან, გერმანელთა თავზე მათს გამოჩენას პანიკა მოჰყვებოდა ხოლმე. მფრინავი გოგონები ამორთავდნენ ძრავს, ძალიან დაბლა უხმოდ დაეშვებოდნენ, ისე, რომ მათ ვერც ლოკატორები ავლენდნენ და მათი ჩამოყრილი ბომბები ზუსტად მიზანში ხვდებოდა. ჩვენ, ამის მოწმენი, აღფრთოვანებულნი გავიძახოდით, ჩვენმა გოგონებმა გერმანელთა პოზიციები დაადუღესო.

**ლ. შოგირაძე**

# ავაღორძინოთ ქალთა საბჭოები!

უნდა ვიფიქროთ შესაბამის ორგანიზაციულ ფორმებზე, რატომ არ უნდა ავაღორძინოთ ქალთა საბჭოები შრომით კოლექტივებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, გავაერთიანოთ ისინი ერთიან სისტემად. საბჭოთა ქალების კომიტეტების მეთაურობით ქალთა საბჭოები სერიოზულ ზეგავლენას მოახდენენ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ფართო წრის სოციალურ საკითხების გადაწყვეტაში.

**მ. ს. გორბაჩოვი**

# მოწოდებას

ძნელია, ძალიან ძნელი იყო კარგი დედა, მეუღლე, წარჩინებული პედაგოგი, სკოლის მოწინავე დირექტორი, მეოჯახე და საზოგადო მოღვაწე, ყველა ხომ თავის წილ-ხვედრს მოითხოვს, ყველას თავისი უნდა მიაგო. ნორა მირცხულავა ერთ წუთს უქმად 'არ კარგავს და ყველა საქმეს შესანიშნავად უთავსებს ერთმანეთს.

ბევრის თქმა შეიძლება. ბევრს ჰყვებიან ზუგდიდელები ამ გამჭრიახი, შრომისმოყვარე ქალის შესახებ. მაგრამ ამჟამად მასზე, როგორც ქალთა საბჭოს თავმჯდომარეზე მინდა გიამბოთ.

1976 წელს, როცა ქალთა საბჭოში უწარიანი, საქმის მოყვარული თხუთმეტი ქალი: ნორა მირცხულავა, მალვა სვირავა, ჟუჟუნა ქვარაია, ტატიანა თორდია, ირმა ჯიქია, მერი შონია, ციალა ფაცაცაია, ქსენია ბიგვავა, ზაირა ქადარია, კატია კაპტელოვა, თეთრიკო გეთია, ბაბო აბულაძე, ადინარ ფარჯიკია, ცისანა ზარდიაშვილი და გულიკო დგებუაძე გაერთიანდნენ, თავიანთ ხელმძღვანელად ნორა მირცხულავა აირჩიეს. ქალებმა პირველ რიგში, რაიონის ყველა საწარმო-დაწესებულებაში ქალთა კომიტეტები ჩამოაყალიბეს; კომისიები პრინციპული, ენერგიული ქალებით დააკომპლექტეს.

ქალთა რაიონული საბჭო რეგულარულად ამოწმებს წარმოება-ორგანიზაციებში არსებულ ქალთა კომისიების მუშაობას, ეხმარება მათ ადგილებზე საკითხების გადაწყვეტაში.

სოფელ კოკში, ქალთა კომისიას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე შურა წითლიძე ხელმძღვანელობს. იგი დიდ ყურადღებას აქცევს ქალთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მისი ინიციატივით აშენდა სასოფლო-საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული შენობა, ბაგა-ბაღი, სასოფლო ბიბლიოთეკა.

სოფელში ორი გმირი და 75 მრავალშვილიანი დედაა. ქალთა საბჭო მათ განსაკუთრებით ეხმარება. კოლმეურნეობამ ლამარა ნაროუშვილს საცხოვრებელი სახლი აუშენა. გრძელვადიანი სესხი მისცა ახალგაზრდა ხუთშვილიან დედებს — შორენა შედანიასა და ლეილა ბერაიას.

ქალთა რაიონული საბჭო მუშაობას შედგენილი გეგმის მიხედვით წარმართავს, რომლის განხორციელებაში პარტიის რაიკომის მდივანი ნათელა ფიფია მხარში უდგას.

ქალთა საბჭოს წევრები მრავალი საინტერესო ღონისძიების ავტორები არიან. ზარშან მათ შეამოწმეს თვრამეტი კოლმეურნეობის ქალთა საყოფაცხოვრებო პირობები, შეისწავლეს, თუ როგორ ეხმარება ადგილობრივი ხელმძღვანელობა ფეხმძიმე, ჩვილბავშვიან, ხანდაზმულ და უმწეო ქალებს, როგორ მუშაობს ბაგა-ბაღები. მარტო საკითხის შესწავლით როდი დაკმაყოფილდნენ, ამას მოჰყვა სერიოზული ღონისძიებების განხორციელება. ბევრგან გამოსწორდა მდგომარეობა.

ქალთა საბჭო ტრადიციულად ხვდება რაიონის გამოჩენილ ქალებს. შეხვდნენ ვეტერან კომკავშირლებს: ქსენია ჩხოლარიას, შურა ბოკუჩავას, პელო კანკავას, ქეთო ხუხუნს, მარო ნაჭყებიას და მარო შენგელიას. დიდი იყო ახალგაზრდების სიხარული, რომლებიც ტრიბუნიდან ისმენდნენ პირველი კომკავშირლების შრომითი მამაცობის ამბავს. ქალთა საბჭომ ახალგაზრდებს შეახვედრა ძველი ბოლშევიკი მარო ჯალაღონია და დიდი სამამულო ომის მონაწილეები: შურა შალამბერიძე, ბაბუცა მაქაცარია, ნინა ჯაბუა, დარიკო ტივაძე, კატია კაპტელოვა, შურა გაბუნია. ქალთა საბჭოს ინიციატივით ომის მონაწილე ქალთა ერთი ჯგუფი ეწვია ჩვენი ქვეყნის გმირ ქალაქებს: კიევს, ბრესტს, მინსკს, ლენინგრადს და წარუშლელი შთაბეჭდილებები მიიღო.

ქალთა საბჭომ პენსიაზე პატივით გააცილა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ცუცა იოსელიანი. მასწავლებლის პატივსაცემად აქ მოვიდნენ რაიონის მოწინავე მუშაკები.

ამას წინათ მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით, ზუგდიდის რაიონული



ზუგდიდის რაიონის ქალთა საბჭოს წევრები

# საქმით უპასუხებენ

ქალთა საბჭოს დელეგაცია ეწვია თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივს. ისინი გაეცვნენ აბრეშუმის ფაბრიკის მუშათა ცხოვრებას, დაინტერესდნენ მათი საქმიანობით, ნახეს როგორ იბადება ქართული აბრეშუმის ქსოვილი. მერე დელეგაციამ დაათვალიერა ვ. ი. ლენინისა და მეგობრობის მუზეუმები, გამარჯვების პარკი, ნახეს რუსთაველის თეატრის დადგმა „რიჩარდ მესამე".

ზუგდიდის რაიონის ქალთა საბჭოს მასპინძლობა გაუწია თბილისის კალინინის რაიონის ქალთა საბჭომ. სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთი პერსპექტიული გეგმები.

„გაბედულად დავნერგოთ ახალი საბჭოური ტრადიციები", — ამ დევიზით გაიმართა ქალთა საბჭოს რაიონული აქტივის კრება, რომელმაც დაგმო გაყალბებული ტრადიციები და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ნეგატიურ მოვლენებს.

ქალთა საბჭოს დახმარებით ოდიშელ ომის მონაწილეს დარიკო პიტავას შეუკეთეს შინ მისასვლელი გზა, ბაბუცა მაქაცარიას დაუდგეს ტელეფონი, მოწინავე მეჩაიეს ვალენტინა დარასელიას მისცეს ჟიგულის მარკის ავტომანქანა.

რაიონის ქალთა საბჭომ დედის სადიდებლად დააწესა „დედის დღე", რომელიც ყოველი წლის მაისის პირველ კვირას აღინიშნება. ეს დღე რაიონში სახალხო ზეიმად არის გამოცხადებული. ამ ზეიმზე გმირ და მრავალშვილიან დედებს ეძლევათ ფასიანი საჩუქრები.

შარშან, 24 მაისს რუსის მეგობრობის სახლში ქალთა საბჭომ მოაწყო დედის საკუთარი ხელით ნახელავის გამოფენა-გაყიდვა. შემოსული 320 მანეთი ქალებმა მშვიდობის ფონდში გადარიცხეს.

ზუგდიდის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ნორა მირცხულავა თავს არ იზოგავს რაიონის ქალების კეთილდღეობისათვის, მათი უფლებების დასაცავად.

ძნელია, ძალიან ძნელი იყო კარგი დედა, მეუღლე, წარჩინებული პედაგოგი, საშუალო სკოლის მოწინავე დირექტორი, მეოჯახე და საზოგადო მოღვაწე. ნორა მირცხულავა ერთ წუთს უქმად არ კარგავს და ყველა საქმეს სიყვარულით ართმევს თავს...

ოლია დადიანი

აკაკი ბელოვანი

## ბალადა მარტვილთა ვნებისა

განა არ სტკიოდა ქეთევან დედოფალს,
ცეცხლის ქვაბი რომ ეხურა მხეცთა?
მაცხოვარს შესთხოვდა მამულის შენდობას,
და უკვდავებას ვედრებით შეწვდა!

განა არ სტკიოდათ აბოს და ესტატეს,
სხეულს რომ უთმობდნენ საგლეჯად ბარბაროსს?
თვით მიწის გოდება აღწევდა ღმერთამდეც —
სირცხვილად ეყოფა ის ტანჯვა სამყაროს!

განა არ სტკიოდათ, განა არ სციოდათ,
განა არ შიოდათ, განა არ კვნესოდნენ?!
განა არ სწყუროდათ, ცრემლი რომ სცვიოდათ
და მტერი ღმუოდა, მძვინვარე ესოდენ?!

ოღონდაც! მე მათი ტკივილი მატირებს!
წამლადაც მაქცია მათ გულთა ძგერისა!
დიდება, დიდება იმ წმინდა მარტვილებს,
სიკვდილით რომ სძლიეს სიკვდილი ერისა!

## ქართველი დედა

არც წერდა და არც ხატავდა...
რაღაც საკვირველებით
უკვდავებას ქსოვდა დედა
თეთრი, სათნო ხელებით.
ქსოვდა წყნარად და ლოცავდა
ქვეყნის ყველა მხარესა.
მოქსოვა და მოისვენა
ამაღლების ღამესა.

მზია ჩხეტიანი

# ვინ იმკის, რაც ჩვენ დაგვითესია

შენ იცნობ იმ ქალს, მის ქმარსაც იცნობ... აი, იმათ, ყველაფერზე რომ ხელი მიუწვდებათ, ყოველივეს რომ უცბად მოაგვარებენ ხოლმე, ყველაფერი რომ წესრიგში აქვთ— ბინაც და აგარაკიც. საგანგებოა მათი რემონტიცა და ავეჯიც, მანქანაც და ჩაცმულობაც. ასეთივე საგანგებო, მედიდური და გამორჩეულია მათი გამომეტყველებაც, მათი იქედნური ღიმილი, პოზა მათი... პოზა ყოვლისმცოდნისა, მუდამ რომ მზადაა ყველას ასწავლოს, თითი უქნიოს, აბუჩად აიგდოს, დონდლო და უნიათო, უგერგილო უწოდოს...

მათ შვილსაც იცნობ— საერთოდ რომ არ იცის, რა არის ხათრი და მორიდება და თანატოლებზე რომ არაფერი ვთქვათ, მასწავლებელსაც ედიდგულება.

ისიც ხომ გახსოვს, შენ, ოთხი შვილის დედამ, ლამის მთელი ქვეყანა შესძარი, რომელ ინსტანციაში აღარ მოგიხდა მისვლა, რომ როგორმე შენი ბინის გვერდით გამონთავისუფლებული თორმეტ კვადრატულმეტრიანი ოთახი მიგეღო, როცა ექვს სულს რალაც ოცდათექვსმეტი კვადრატული მეტრი ფართობი გეჭირათ ძველ, კეთილმოუწყობელ სახლში!

ბევრი კამათიც დაგჭირდა და ნერვიულობამ კინაღამ ლოგინად ჩაგაგდო. რას იზამ — ისინი ხომ თქვენგან ზომიერების გრძნობითაც გამოირჩევიან! მათ ხომ სამ სულზე ისე მიიღეს მეოთხე, ოცკვადრატულმეტრიანი ოთახი, მათი ხმაც არავის გაუგია!

აბა ერთი ეს ბარათიც წავიკითხოთ:

„ძვირფასო რედაქცია! უკვე კარგა ხანია ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ე. წ. უშრომელი შემოსავლის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებებს მე ვერ ვხედავ... ყველაფერი ისევ ისე გრძელდება, როგორც იყო. ზოგი კი ბუზღუნებს, მაგრამ უმრავლესობა საერთოდ არ იღებს ხმას, გულგრილად დუმს, ვიღაც-ვიღაცები კიდევ: რა ჩემი საქმეა, მე მართმევს რამეს თუო! ჩაიქნევენ ხელს და წავლენ თავიანთ გზაზე. სხვისი რა მოგახსენოთ და მე ძალიან მაწუხებენ უშრომელი შემოსავლით გაქსუებული ეს არამზადები! სხვა რომ არაფერი, ბავშვები გადამერივნენ მათი შვილების შემხედვარე! გიას მამამ ეს უყიდა, გიას დედამ ის მოუტანა, გიას ისეთი ბოტასები აქვს, გიას მაგნიტოფონი, გიას პულოვერი, გიას ქურთუკი... ტვინი და გული წაიღეს ამ გიათი და მისი მშობლების ხელგაშლილობით. რა ვიცი, რანაირად, საიდან! მართალია, მე და ჩემი მეუღლე პროფესორები არა ვართ, მაგრამ არც გიას მშობლები არიან აკადემიკოსები, პირიქით — ჩვენზე მცირე ხელფასს იღებენ!

„გიას მამა ხელზე ყიდულობდა სამმაგ ფასში ველვეტის შარვლებს, როცა არ იშოვებოდა, თქვენ კიდევ თავის ფასში არ გინდათ მიყიდოთ, როცა აგერ მაღაზიებში თავისუფლად აწყვია. აბა, თქვენც მშობლები ხართ და ისინიც?“ თურმე საოცრად მწარე, ძნელი მოსასმენი ყოფილა ასეთი სიტყვები საკუთარი შვილებისაგან. თუმცა, ვაი რომ ასეთი მშობლები მხოლოდ ნივთებს როდი ყიდულობენ თავიანთი ბავშვებისთვის! თქვენ წარმოიდგინეთ გაკვეთილის თითქმის ერთნაირად ცოდნაში, გიას რომ ოთხიანს და ხუთიანს დაუწერს ზოგიერთი მასწავლებელი, ჩემს თენგოს სამიანსაც დაამადლის ხოლმე!“

ალბათ დამეთანხმებით რომ წერილის ავტორი ბევრი თქვენგანის სათქმელს და სატკივარს გვანდობს, პატივცემულო მკითხველო! მართლაც არ შეიძლება თქმა იმისა, რომ უსამართლოდ მომხვეჭელნი ჩვენ არაფერს გვართმევენ! სწორედ ისინი არიან თავი და თავი ყოველგვარი საზოგადოებრივი მანკიერებისა! პირველნი სწორედ ისინი დაახარბებენ ხოლმე ძვირფას საჩუქრებს მავან სულმოკლე მკურნალსა თუ პედაგოგს, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე მოქმედი კომისიის ამა თუ იმ შემთხვევით წევრს! სწორედ ისინი ცდილობენ გაძვრნენ და არც თუ იშვიათად ძვრებიან კიდეც ათასგვარ ხვრელში, რომ რაც შენ და ასობით შენისთანას კანონიერად ეკუთვნის, უკანონოდ ჩაიგდონ ხელში და დაისაკუთრონ.

ამ გარემოებას ხშირად მოჰყვება ის სავალალო შედეგი, რომელსაც არც თუ იშვიათად ვხვდებით ჩვენს ყოველდღიურ საზოგადოებრივ ყოფაში. უპირველეს ყოვლისა, ეს თითქმის სრულიად არაკვალიფიციურ სპეციალისტთა მოძალება გახლავთ ყველგან, როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში, ისე — საზოგადოებრივკულტურული და სამეცნიერო დაწესებულებების ქსელში, სკოლებში, სამედიცინო ამბულატორიებში, საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში...

„არ ვიცი, ამ ბავშვს რა ვუყო, — შემომჩივლა ერთი სტუდენტის დედამ, — სულ არ უნდა სწავლა! რომ ვესაყვედურები და ვეჩიჩინები, წიგნებს მოკიდე ხელი იმეცადინე-მეთქი, სხვები არ იკლავენ თავს, მაგრამ სულ ხუთიანებს ღებულობენ, და მე მოვიკლა თავი მეცადინეობითო? ალბათ იმაშიაც დამეთანხმებით, რომ ამგვარი დამოკიდებულებანიც და საქმეზე გულაყრილობაც, რაც შეიმჩნევა ზოგჯერ ჩვენი ახალგაზრდების ხასიათში, სწორედ უშრომელი შემოსავლის მქონე მშობლების მიერ გათამამებული და ცინიზმამდე მისული ზოგიერთი სტუდენტი ახალგაზრდის არაკეთილსასურველი გავლენის შედეგია!

ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ — გვართმევენ თუ არა უშრომელი შემოსავლით გაზულუქებულნი რაიმეს! მართლაც რომ უდიდესია საზოგადოებისათვის მათგან მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალი.

ნუ დავხუჭავთ თვალს და ნუ ვიტყვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უზრუნველ ცხოვრებას გამოდევნებული არაკეთილსინდისიერი ადამიანები ვერ ახდენენ რაიმე მნიშვნელოვან გავლენას ჩვენი საზოგადოების მორალურ სტატუსზე. მახსოვს, როგორი გულისტკივილით მითხრა რამდენიმე წლის წინათ აწ განსვენებულმა ცნობილმა ქართველმა მწერალმა დემნა შენგელაიამ, როცა მასთან ინტერვიუს ჩამოსართმევად მივედი: ადრე, პატარა ბიჭი რომ ვიყავი, მე და ჩემი ტოლები იმაზე ვოცნებობდით, საგმირო საქმეები ჩაგვედინა, როცა გავიზრდებოდით; ახლანდელი ბავშვები კი პროფესიებს იმის მიხედვით ირჩევენ, თუ სად უფრო მეტი შემოსავალია.

მოზარდი ყველაფერს აკვირდება და თავისებური დასკვნებიც გამოაქვს. ისიც გავიხსენოთ, რამდენი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ესა თუ ის მომხმარებელი გამყიდველს შედავებია ხურდის სწორად დაბრუნების თაობაზე და რიგში მდგომთ, იმის მაგივრად, მხარი აებათ თანამოქალაქის ხამამრთლიანი საყვედურისთვის, — შეურაცხყოფა მიუყენებიათ მისთვის, ინტრიგანი უწოდებიათ. „უსაქმური", თვითონ არა გაქვს საქმე, არაფერი გაწუხებს, გეტყობა და ჩვენც გვაცდენო".

— ყველას ერთნაირი შემოსავალი ხომ არა აქვს! მე პენსიაზე ვარ, ორმოცდაცხრამეტ მანეთს ვღებულობ თვეში და ყოველდღიურად 30-40 კაპიკის ზედმეტად ტყუილუბრალოდ დაკარგვა ჩემთვის ძნელია. აქ ათი კაპიკი არ დამიბრუნეს, იქ წონაში დამაკლეს, — მეუბნება — ოთხმოცსგადაცილებული მანდილოსანი, რომელიც იძულებული გახდა რუსთაველის პროსპექტზე დაეწყო პურ-ფუნთუშეულის შესაძენად სიარული, მაშინ, როდესაც პურის მაღაზია იქვე, ყურის ძირში ჰქონდა. სამაგიეროდ, პურის გამყიდველმა ქალმა ორიათას მანეთიანი ოქროს ჯაჭვი ჩამოიკიდა. მეტად არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ კიდევ უფრო შემაშფოთებელი ისაა, რომ ამის შემყურე ბიჭი თუ გოგონა მომხმარებლური თვალით უყურებს და ირჩევს მომავალ პროფესიას. იმის მაგივრად, იოცნებონ — როდის გაიზრდებიან, რომ რაღაც განსაკუთრებული ჩაიდინონ, რაიმე საქმეში გამოიჩინონ თავი, აღმოაჩინონ რაღაც ახალი, ჩვენი სამშობლოს შორეულ, ჯერ კიდევ აუთვისებელ კუთხეში წავიდნენ და იქ ახალი ქალაქების აშენებაში მიიღონ მონაწილეობა.

აი ახლა გიამბობთ გოგონაზე, რომელსაც ექიმობა უნდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ჭეშმარიტი ექიმი, რომლისგანაც მაგალითს უნდა იღებდეს, განსაკუთრებული სიკეთითა და გულისხმიერებით გამოირჩევა, იმიტომ, რომ მის მეზობელ ექიმს ბევრი ფული აქვს და მისი გოგონებიც უფრო ლამაზ კაბებს იცვამენ, ვიდრე — თვითონ.

ბუნებრივია, თუ მისი მისწრაფებები კვლავ ასევე წარიმართა, საზოგადოებას ამ ბავშვის სახით მაინცადამაინც ღირსეული მოქალაქე ვერ შეემატება. აი რას გვართმევენ ჩვენ უშრომელი შემოსავლის მოტრფიალენი! შრომა ყოველგვარი გვჭირდება — ექიმის, დახლიდრის, პედაგოგის... ყოველნაირი, მაგრამ ნებისმიერი შრომა მხოლოდ მაშინ არის სასახელო და ამაღლებული, როცა იგი სრულდება არა ანგარების მიზნით, არამედ კეთილსინდისიერად, პატიოსნად!

მოგეხსენებათ, ადამიანი იმაზე ოცნებობს, რაც აკლია. გაოცებას იწვევს ზოგიერთი თანამედროვე ახალგაზრდის პირად მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, ცხოვრების რაც შეიძლება უკეთესად, უზრუნველად აწყობა, მაშინ, როდესაც წინა თაობებს მართლა უჭირდათ თანამედროვე ახალგაზრდობასთან შედარებით! უდაოა, რომ სწორედ ფუფუნება, უზრუნველი ცხოვრება უქმნის ადამიანს ამგვარ მისწრაფებებს, სულიერად ადუნებს, შრომის წყურვილს, რაიმე საკუთარის შექმნის წადილს უკლავს. მაოცებს პირდაპირ ზოგიერთი მშობლის სურვილი — რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე დააგროვოს თავისი შვილებისთვის! კი მაგრამ, ამ შვილებმა არ უნდა იმუშაონ? ეს თითქოსდა გულუბრყვილო, მაგრამ საოცრად გულწრფელი და უაღრესად დიდი აზრის შემცველი შეკითხვა დასვა ერთ-ერთმა მეტად პატიოსანმა მშრომელმა ქალმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობის დელეგატმა თინათინ ლამაზოშვილმა ჩემთან საუბარში. მართლაც, თუ კი ყოველმხრივ უზრუნველვყოფთ ჩვენი შვილების მომავალს, შრომას არ შევაჩვევთ მათ და უშრომლად მიღებული დოვლათით ფუფუნებაში ვაცხოვრებთ, მათგან არა თუ ქვეყნისთვის და ხალხისთვის, საკუთარი თავისთვისაც კი უვარგის, უხერხემლო ადამიანს ჩამოვაყალიბებთ და არც თუ იშვიათად — მომავალ ბოროტმოქმედსაც, ეგოისტს, რომელსაც ჩირად არ უღირს საუკუნეების განმავლობაში ერის ყოფაში დაკანონებული ზნეობრივ-ეთიკური ნორმები. დიახ, ასეა, სწორედ გადაჭარბებული ფუფუნებაა უპირველესი მტერი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, სწორედ აქედან ჩნდებიან არასრულფასოვანი და არამყარი ფსიქიკის ახალგაზრდები, რომლებიც ზოგჯერ დროს მომშხამავი ნარკოტიკების ხმარებით კლავენ და სულიერად დაცლილნი ჯანსაღ, ნათელ იდეალებს და მიზანსწრაფვას მოკლებულნი, მოჩვენებით თავდავიწყებას სწირავენ თავიანთ ახალგაზრდულ სიცოცხლეს.

მოგეხსენებათ, რომ ძველი საბერძნეთის ლეგენდარულ ქალაქ სპარტაში საერთოდ აკრძალული იყო ქონების დაგროვება. იქ დედები ბავშვობიდანვე მხოლოდ საერთო საქმისთვის ცხოვრებას აჩვევდნენ შვილებს, ბავშვობიდანვე უნერგავდნენ, რომ მუდამ ხელმძღვანელის გვერდით დაჯარულიყვნენ, მთელი სიცოცხლე სამშობლოს გულმხურვალე სიყვარულში გაეტარებინათ.

განა ქართველ ქალებს ნაკლებად ესმოდათ თავიანთი დედური ვალი! შემთხვევითი როდია ჩვენს მწერლობაში „დედათა, მარად ნეტართა" დიდებული მხატვრული ხატები, „უწინ მამულს რომ უზრდიდნენ შვილთა".

სამწუხაროა, რომ დღეს ამის საპირისპიროდ უამრავი კითხვა მოგვეჯარა, ლამის კითხვის ნიშანთა კორიანტელში გავეხვიეთ. გვაწუხებს ეჭვი, ტკივილი... მართლაც ხომ არ გადაავიწყა ერთგვარად ამ საოცარმა საუკუნემ, ყველაზე მეტად ფასეული სულიერი ღირებულებანი!

რატომ არის, რომ ზოგიერთი დედა დღენიადაგ იმის ცდაშია, როგორმე დაიყოლიოს კლასის ხელმძღვანელი, ამა თუ იმ საგნის მასწავლებელი, რათა მისი შვილი თანატოლთა შორის განსაკუთრებული ყურადღებით გამოარჩიონ. წინასწარ გააფრთხილონ, რომელ თემას მისცემენ საკონტროლო წერაზე. წინა დღეს შეატყობინონ, რომ ხვალ გაიძახებენ, ისიც ჩააწერინონ, რას შეეკითხებიან დამატებით. თუ სკოლაში ვინმე ღირსეული სტუმარი მოვიდა, მას დაუწერონ მისასალმებელი სიტყვა, თუნდაც, დეკლამაცია მაინცდამაინც სხვაზე უკეთესად არ ეხერხებოდეს. აირჩიონ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ თუ არა, რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ მაინც.

აბა, რომელ მშობელ დედას გაუჩნდება ამგვარი სურვილი, ამისთანა მკრეხელური აზრები და მისწრაფებანი, თუ არა ისევ და ისევ რომელიმე ბედით განებივრებულ დიაცს, არსად რომ არ მუშაობს და არც შინაა მაინცდამაინც დიდად გადატვირთული, შეუძლია ხშირად შეიაროს სკოლაში, საგანგებოდ მორთულმა და მოკაზმულმა თავიც მოიწონოს და ყველაფერი ისე გააკეთებინოს მისგან გარკვეულად დავალებულ მასწავლებელს, როგორც მოესურვება. გავა დრო, მისი შვილი წარმატებით, წარჩინებით დაამთავრებს სკოლას და დედიკო ახლა იმაზე დატრიალდება, რომ ბავშვი როგორმე სავალდებულო სამხედრო სამსახურს აარიდოს. ამის შემყურე ზოგიერთი სხვა დედაც მიბაძავს მას, „ჩემი შვილი რა, „უპატრონო" ხომ არ არის," აი, რა სამარცხვინო დამოკიდებულებამდე და გულისშემძვრელ ეგოისტურ ფილოსოფიამდე მიდის, არც თუ იშვიათად, მავანი და მავანი. ყველაფერი კი მეტწილად მაინც უშრომელი შემოსავლიდან იწყება. აი რატომ უნდა ვებრძოლოთ ამ ბოროტებას, რატომ უნდა გამოვიღოთ ხელი მის წინააღმდეგ! მართლაც, ყველა პატიოსანმა კაცმა, ვისაც კი ესმის თავისი მოქალაქეობრივი ვალი, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „ერთიანის შეკრულ-შებოჭვილი ღონით უნდა იმოქმედოს".

„ღონე ღონეს შევაკეცოთ, შრომა შრომას მივუყენოთ და ამ გზით ბევრნი ერთად შევებნეთ უღელში ცხოვრების ავკარგიანობის საწეველად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნაღვაწი ჩვენვე გვრჩებოდეს, ჩვენვე გვერგებოდეს. ნუ გვავიწყდება, რომ ქურდბაცაცა იქა მკის, სადა არ უთესია. იგი ქვეყანას ქონს აცლის, სამაგიეროს არას აძლევს, იგი გასამრჯელოს იქ იღებს, სადა არ ირჯება, იგი სუქდება იმით, რომ სხვას ამჭლევებს, თვითონ ივსება და სხვას აცარიელებს. ერთობით, ამხანაგობით ჩვენ ღონე უნდა მოვიცეთ და ეს ჩარჩული ფული თავის საკუთარ ბედისწერას გადაჰყვება, თვითონ შესჭამს თავის თავსა, საკუთარის გესლით მოიწამლება, როგორც ქვემძრომი მორიელი."

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მხატვარი — მოდელიორი
მ. დილველაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. შეწირული,
პროფესორი, კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.



# ფერიმჭამელა

ფერიმჭამელა კანის გავრცელებული ასაკობრივი დაავადებაა, რომელიც უმეტესად (85 პროცენტი სქესობრივი მომწიფების პერიოდში) 16-25 წლის ასაკში ვითარდება. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის შეცვლის ან კუჭ-ნაწლავის დაავადების გამო ცხიმის ჯირკვლები დიდდება, ძლიერდება მათი ფუნქცია, იწყება ცხიმის ჭარბი გამოყოფა, რის გამოც კანი ცხიმიანი და ფორებიანი ხდება. ნორმალური კანის ცხიმს ბაქტერიოციდული ანუ ანტიბაქტერიული თვისებები აქვს, რაც დაავადების დროს მნიშვნელოვნად ქვეითდება, კანზე არსებული ჩირქმბადი მიკრობები აქტიურდებიან და იქმნება ცხიმის ჯირკვლებისა და მათი სადინარების, თმის ფოლიკულებისა და მიმდებარე ქსოვილების ანთების განვითარების ხელსაყრელი პირობები. ფერიმჭამელების გაჩენას ასევე ხელს უწყობს ალკოჰოლის, ცხარე, მჟავე, ცხიმიანი საჭმელების და ტკბილეულის ჭარბად გამოყენება, ფიზიკური და ნერვული გადაღლილობა. ფერიმჭამელები ძირითადად ცხიმიან და ფორებიან კანზე ჩნდება.

ფერიმჭამელების სხვადასხვა კლინიკური ფორმები არსებობს, ერთია შავი საცობები (ე. წ. კომედონები), რომლებიც შუბლის, ცხვირის, ნიკაპისა და ცხვირ-ლოყის ნაოჭის არეში კანის გაფართოებულ ფორებში ჩნდება. იგი მტვრის, ჭუჭყის ან სხვადასხვა მუქი ფერის მალამოს შეზელის შედეგად ვითარდება; არის კიდევ თეთრი (ე. წ. მილიუმი), ერთეული ან ჯგუფურად განლაგებული წვრილ-კისტოზური წარმონაქმნები, რომლებიც ჩნდება მეტწილად თვალის ქვემოთ, საფეთქლებზე და ლოყებზე. წითელი ფერის წვრილკვანძოვანი, მტკივნეული გამონაყარი სახეზე, გულმკერდის, ზურგისა და მხრების ზედა ნახევარში წარმოიქმნება. ჩირქოვანი გამონაყარი კვანძების ცენტრში ქინძისთავის ოდენა ბუშტუკების სახით ჩნდება. ზოგჯერ ისინი ერთიანდებიან და უფრო დიდი, ღრმა, მტკივნეული კვანძები და ჩირქგროვები წარმოიქმნება. ამ კერების უკუგანვითარების შემდეგ კანზე პიგმენტური ლაქები და ნაწიბურები რჩნდება. ზოგი მოზარდი სახეზე ამ კვანძებს და ჩირქგროვებს ხშირად თითებით ისრისავს, რაც ხელს უწყობს ელემენტების კიდევ უფრო გაფანტვას და ანთების ღრმად გავრცელებას. ამის შედეგადაც კანზე უხეში ნაწიბურები ვითარდება.

ფერიმჭამელას მკურნალობა კომპლექსური და ინდივიდუალურია, იგი მხოლოდ ექიმის დანიშნულებით უნდა ტარდებოდეს. დაუშვებელია მეგობრებისა და ნაცნობების რჩევით სარგებლობა, რადგან ის, რაც ეფექტური აღმოჩნდა მათთვის, თქვენ შეიძლება გავნოთ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი წინასწარი რჩევა-დარიგება მაინც გვინდა მოგცეთ.

უპირველესად უნდა დაიცვათ პირის დაბანის რეჟიმი. თუ კანზე ჩირქოვანი ელემენტი გაქვთ, უმჯობესია დროებით დაბანისაგან თავი შეიკავოთ, რადგან წყალი ჩირქოვანი ინფექციის კანზე გაფანტვას და ახალი ელემენტების გაჩენას გამოიწვევს. მშრალი კანი შეიძლება ზეთში, ხოლო ცხიმოვანი — სპირტიან ლოსიონში დასველებული ბამბით გაისუფთაოთ. ცხიმოვანი კანისთვის საჭიროა პირის დაბანა ყოველდღე რბილი თბილი წყლით და საპნით (ბორნო-თიმოლის გლიცერინის, კუპრის, გოგირდის, აბანოს და სხვა). ასეთი კანის გასასუფთავებლად შეიძლება კიტრის და ლიმონის წვენიც გამოიყენოთ.

შავი ფერიმჭამელების შემთხვევაში კარგია მარილის ასეთი პროცედურა: საპნის თბილ ქაფში დასველებული ბამბის ტამპონს წმინდა მარილი უნდა მოაყაროთ და 1-2 წუთის განმავლობაში წრიული მოძრაობით შავწერტილიანი კანი გაისუფთაოთ, შემდეგ წყლით ჩამოიბანოთ, ბოლოს კი რიგ-რიგობით თბილი და ცივი წყალი უნდა შეისხათ სახეზე. ასეთი პროცედურის გამოყენება შეიძლება კვირაში 2-3-ჯერ. კარგია გოგირდიანი მინერალური წყლის აბაზანები, ზღვაში ბანაობა და მზის აბაზანები.

ფერიმჭამელის მკურნალობისას მნიშვნელოვანია კვების რეჟიმის დაცვაც. დიეტა ძირითადად ვეგეტარიანული საკვების, რძის პროდუქტებისა და ხილისაგან უნდა შედგებოდეს. საჭიროა ნახშირწყლების, ტკბილეულისა და პურის შეზღუდვა. მავნებელია ცხარე საჭმელი და ალკოჰოლური სასმელები.

ორგანიზმის საერთო გაკაჟებისათვის აუცილებელია სისტემატური ფიზიკური ვარჯიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყველას საზრუნავი

## ბავშვის ჯანმრთელობა დიდი სიმდიდრეა

იმ დღეს, დილით, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში პირველკლასელები საკლასო ოთახს გვიდნენ. წარმოიდგინეთ ჩემი შეშფოთება — ექვსი წლის გოგონა საღამოს ხუთ საათამდე იმ ოთახში დავტოვე.

თბილი და მზრუნველი სახლის ან საბავშვო ბაღის შემდეგ სკოლა ბავშვისთვის ახალი ცხოვრების დასაწყისია. პირველ ხანებში პატარებს სკოლის შეგუება ძალიან უჭირთ. გაკვეთილებზე ისე იღლებიან, თითქმის მერხებზე სძინავთ. ზოგიერთი უმიზეზოდ ტირის კიდეც და მეორე დღეს სკოლის სახელის გაგონებაც არ უნდა.

უფრო მეტად იღლებიან ის ბავშვები, რომლებიც გახანგრძლივებულ სკოლაში ან ჯგუფებში რჩებიან, ე. ი. მთელი დღე საკლასო ოთახში არიან, თუ არ ჩავთვლით დღის იმ მონაკვეთს, სასეირნოდ (ერთი საათით) როცა გაჰყავთ, დანარჩენ დროს ბავშვი საკლასო ოთახშია დედის მისვლამდე.

საკლასო ოთახს ბავშვები რომ დაგვიან, ცხადია, არავინ გაანიავებს და მთელი დღის განმავლობაში მტვრიან ჰაერს სუნთქავენ.

ვსვამთ კითხვას, რატომ უნდა ისუნთქოს პატარა ბავშვის ფილტვებმა არაჯანსაღი ჰაერი. ან კიდევ, რატომ უნდა იჯდეს ბავშვი დაბინძურებული ხელებით გაკვეთილებზე.

საინტერესოა, მაგრამ ვერავინ გვიპასუხა, რატომ აკლია სკოლებს დამლაგებლები. რატომაა იქ ანტისანიტარია და არასასიამოვნო სუნი დერეფნებში.

ჩვენთვის, დედებისათვის ყველაზე დიდი სიმდიდრე ბავშვის ჯანმრთელობაა, განა ასე ვუფრთხილდებით მომავალ თაობას?

ვფიქრობთ, ამ პატარა წერილს გამოეხმაურებიან მშობლები, ექიმები, პედაგოგები.

ი. გ.

## სად დაიკარგა ჩანგალი?

დიღმის მასივში, მეგობრობის პროსპექტზე უგამყიდველო № 201 პურის მაღაზიაში ბევრი მომხმარებელი ყიდულობს პურსა და ფუნთუშას. ამ ბოლო დროს, პურის ხარისხსა და ასორტიმენტს არ ვემდურით, შედარებით გამოსწორდა, განსაზღვრულ საათებში ნაირნაირი სახის ფუნთუშეული და პური მოაქვთ, გვაშფოთებს მხოლოდ ყიდვის პროცესი.

როგორც აღვნიშნეთ, მაღაზია უგამყიდველოა და ათასობით მომხმარებელი თვითმომსახურებას ეწევა. ამიტომ აქაურობას დიდი ყურადღება და სისუფთავე სჭირდება, სამწუხაროდ, თბილ თვეებში აქ ბუზიც ბლომადაა.

დღეს სხვა სატკივარი გვაწუხებს, მაღაზიაში ხშირად ასეთი სურათია: მომხმარებლები თვითონ ირჩევენ პურს ან ფუნთუშას, ილაგებენ ჩანთებში, ხელში იღებენ და თუ არ მოეწონებათ უკან დებენ, თუ პური ძირს დაუვარდათ, იმასაც სხვებში გაურევენ. ერთ პურს შეიძლება ასმა კაცმა მოჰკიდოს ხელი, მერე (რადგან არ დაგვინახავს) ასე დაბინძურებული პური ან ფუნთუშა იქნებ ჩვენ შეგვხვდეს, სიამოვნებით წავიღოთ სახლში და მივირთვათ.

ამასწინათ, ჩემს წინ ერთმა ახალგაზრდა ქალმა ფუნთუშები ჩანთაში ჩაილაგა (მის უკან ვიდექი რიგში), მერე უცებ გადაიფიქრა, ამოყარა და ისევ თავის ადგილას დააბრუნა.

მე, რა თქმა უნდა, ვერ მოვითმინე და მივუთითე, თუ რატომ იქცევა ასე გაუფრთხილებლად, საინტერესოა, ვინ უნდა წაიღოს მისი ჩანთიდან ამოლაგებული ფუნთუშები!..

არც მას, არც მოლარეს, არც მაღაზიის სხვა მუშაკებს და სამწუხაროდ, არც ხალხს ხმა არ ამოუღიათ. შემომხედეს მდუმარედ, თითქოს მოხალისე ვიყავი და ლექციას ვუტარებდი, და კიდევ უფრო გაჩუმდნენ.

რატომ ვჩუმდებით, რატომ არ ვეუბნებით ერთმანეთს სათქმელს. სად დაიკარგა ჩანგალი, რომლითაც პური უნდა ავიღოთ ან მოგვაწოდონ.

...არ დაიკარგა, ჩანგლები იქვე თაროების გვერდით ჰკიდია, მაგრამ არ ვსარგებლობთ.

პურით ასეთი ვაჭრობა არავის არ მოსწონს, ცალ-ცალკე ყველა ჩივის, მაგრამ ვის ველოდებით, ამ საქმის მომწესრიგებელი მაღაზიის მესვეურებთან ერთად ხომ ჩვენცა ვართ, მომხმარებლები!

მაშ, როგორ მოვუაროთ ამ პრობლემას?..

ნ. ჩ.

## უგემური „პეჩენია"

ექიმმა გვირჩია პატარა ბავშვს ჩვენი, თბილისური პეჩენიები: „ნაზი" და „უკრაინული" მიეცით, ორივე კარაქზე მზადდება და მოსკოვურს არ ჩამოუვარდება, არც გემოთი და არც ხარისხითო.

ვიყიდეთ, გავსინჯეთ, მაგრამ ნეტავი არ გაგვესინჯა. „ნაზი" უხარისხოა, უფერო და უგემური, „უკრაინულს" კიდევ არა უშავს.

აღარაფერს ვამბობთ სხვა მარკის პეჩენიებზე: „სასიხარულოსა" და „ჩაისთვის". ისინი უფრო უგემურია; ხოლო „ნაზის" აწერია, რომ დამზადებულია უმაღლესი ხარისხის ფქვილისაგან და შენახვის ვადა სამი თვეა. ვიყიდეთ, შევინახეთ, მაგრამ მთლად დაიფშვნა და ჭამაც არ შეიძლებოდა.

ქართული კვების პროდუქტები ოდითგანვე ცნობილია თავისი გემოთი, არომატით და რატომ არ უნდა ვყიდულობდეთ ჩვენებურ პეჩენიას?

ალბათ, პატარა ბავშვის დედები ჩემსავით წვალობენ და არც მათი ბავშვები ჭამენ თბილისურ პეჩენიას.

თქვენ, რას იტყვით, დედებო!

ც. კ.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე — „ჩემი სამშობლო ქვეყანა რა ლამაზია, რა კარგი".

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. ბაზრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის 93-98-58. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5. 01. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 02. 87 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{3}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,8.

 Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 145.000. შეკვ. 16 უე 04822

ეროვნული ბიბლიოთეკა



მალე გაზაფხული მოვა. ვ. გენძიურის ფოტო.



ინდექსი 76178

6135/45

ფასი 30 კაპ.